ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

ჯსიფ,ფსბ7 №) ბდკბცბ7 )!§ 1178 (6489) აფცბ5 №) სტსჰბ

## შალვა ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილის დაკითხვას ითხოვს

გვ.5



# ხალხს ურტყით ძირითადად თირკმლებში, მუცელში. ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან!“



‘მეჰაბიშვილის სამუშაო მაგიდის მაhჯვნივ, მაhთჯუთხა მაგიდის ეhთ თავში, იჯდა ზუhაბ აღეიშვიღი, მისგან მაhცხნივ, ჯედღის მხაhეს _ ზუhაბ მეღიქიშვიღი, ოთაh სიhაძე (hაჭის გუბეhნატოhი, hომეღიც ზემოთ ჩამოთვღისას გამომhჩა), შიდა ქაhთღის გუბეhნატოhი, ამიhანი მესხეღი (?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეოhე თავში ისხდნენ დავით ჯეზეhაშვიღი და დათა ახაღაია, მეოhე მხაhეს _ დავით ჯიhჯიტაძე, აჯაჯი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე, ვასიღ მაღღაფეhიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბეhნატოhი) და გოჯა გაბაშვიღი. ჩვენ უკან სჯამზე იჯდა ახაღგაზhდა ბიჭი, აღბათ, ვანოს თანაშემწე~.

გვ.3



რა წერია ვასიკო მაღლაფერიძის ჩვენებაში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ

## ირაკლი ალასანია: ამერიკელმა სენატორებმა საქართველოს კანონებს პატივი უნდა სცენ!“

გვ.2

„რა თქმა უნდა, პატივს ვცემ სენატორებს. ისინი საქართველოს მეგობრები არიან. მესმის, რომ მათ გარკვეული შეშფოთება აქვთ, მაგრამ დაელოდონ მართლმსაჯულებას.“



## მამუკა არეშიძე: სააკაშვილის დაპატიმრება ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის“



გვ.4



ISSN 1987-9385

## გელა კვაჭანტირაძე: მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს“

გვ.5

აh ვიზიაhებ შეხედუღებას, hომ ვიღაცისგან მწვანე შუქია ანთებუღი. აhავის უნდა მწვანე შუქის ანთება, hოცა სახეღმწიფოში საუბაhია ამ საქმეების გამოძიებაზე, hომეღიც ეხება უმაღღესი თანამდებობის პიhების დანაშაუღებhივ ქმედებებს, hასაც მოჰყვა მძიმე შედეგები. ეს აhის პიhდაპიhი ვაღდებუღება ჩვენი სამაhთაღდამცავი ოhგანოებისა.

# ირაკლი ალასანია: ამერიკელმა სენატორებმა საქართველოს კანონებს პატივი უნდა სცენ!"

შორენა მარსაგიშვილი



**მიხეილ სააკაშვილის გარშემო ატეხილმა ამბებმა ამერიკის შეერთებული შტატები აალელვა. ყველაზე დიდი შეშფოთება, როგორც მოსალოდნელი იყო, სენატორმა ჯონ მაკკეინმა გამოთქვა.**

მას მხარი ბენ კარდინმა, ჯინ შაინმა და ჯიმ რიშიმ აუბეს. ამერიკული ხუთეული ყოფილი ხელისუფლების ოთხი მაღალჩინოსნის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. სენატორების ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი იმედგაცრუებულები არიან.

სენატორების შეფასებით, პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა არ იყო უნაკლო, თუმცა სამართლებრივი დევნა არ შეიძლება გახდეს პოლიტიკური იარაღი და ეროვნული გახლეჩის წყარო, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველო ბევრი მძიმე გამოწვევის წინაშეა.

— ჩვენ და ჩვენთან ერთად სხვებიც მოვუწოდებდით პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და სხვა ქართველ ლიდერებს, რომ ფოკუსირება მოეხდინათ მომავალზე და არა წარსულზე და დახმარებოდნენ ქვეყანას წინსვლაში და არა უკუსვლაში. თითქმის შეუძლებელია, მივხვდეთ, რამდენად შეესაბამება ამ მიზანს მთავრობის გადაწყვეტილება, რომ წინა ხელისუფლების უმეტესობა სასამართლოს წინაშე წარდგეს. საქართველოს ლიდერები კარგად უნდა დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა მიმართულებით მიჰყავთ ქვეყანა. დღევანდელი ქმედება და მისი მსგავსი სხვა ქმედებები ჩვენ შორის ურთიერთობებისთვის სასარგებლო არ იქნება, — ნათქვამია სენატორების ერთობლივ განცხადებაში.

ნაცმოძრაობამ სენატორების ერთობლივი განცხადება ბაირაღივით ააფრიალა. თუმცა მეოცნებეებს ეს ამბავი გულთან ახლოს აღარ მიუტანიათ. ადრე უფრო მწვავედ რეაგირებდნენ ხოლმე ასეთ განცხადებებზე.

მაკკეინის სამეგობროს შეშფოთებას გაგებით არც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია მოჰკიდებია. მან პირიქით იქეთ სთხოვა სენატორებს, ქართულ კანონმდებლობას მოეკიდონ გაგებით.

მისი განცხადებით, 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევის, ტელეკომპანია „იმედში" შეჭრისა და არკადი პატარკაციშვილის ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდების საქმეზე გამოძიება ობიექტური და გამჭვირვალე უნდა იყოს.

— ფაქტია, რომ საქმე უმძიმესი დანაშაულის გამოძიებასთან გვაქვს. ეს ყველაფერი ჩვენ თვალწინ ხდებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ მოსახლეობის წინააღმდეგ შეიარაღებული ძალები უკანონოდ გამოიყენეს. ველოდებით გამოძიებას და მის შედეგებს, — განაცხადა ალასანიამ.

თავდაცვის მინისტრის თქმით, უნდა გამოვლინდნენ დამნაშავეები, გამოძიება კი ობიექტური და გამჭვირვალე უნდა იყოს.

— სასამართლო დამოუკიდებელი უნდა იყოს, ასევე, ეჭვმიტანილების დაცვის უფლება უნდა იყოს გარანტირებული, რომ არავის, მათ შორის ჩვენს პარტნიორებს, არანაირი ეჭვი არ ჰქონდეთ, რომ აქ პოლიტიკური მოტივაციაა, — განაცხადა ალასანიამ.

ამირსპასალარის განცხადებითვე, ეს არის გაფრთხილებაც საქართველოს ახლანდელი და მომავალი ხელისუფლებისთვის, რომ სახელისუფლებო თანამდებობაზე ყოფნა ყველაფრის უფლებას არ ნიშნავს. თავდაცვის მინისტრის თქმით, კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

მან ამერიკელი სენატორების განცხადებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ისინი მართლმსაჯულებას უნდა დაელოდონ.

— რა თქმა უნდა, პატივს ვცემ სენატორებს, ისინი საქართველოს მეგობრები არიან. მესმის, რომ მათ გარკვეული შეშფოთება აქვთ, მაგრამ დაელოდონ მართლმსაჯულებას და პატივი სცენ საქართველოს კანონებს, — განაცხადა ალასანიამ.

ისე, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ საოცნებო ხელისუფლებამ სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნის დაწყებაზე ნებართვა ამერიკისგან მიიღო. როგორც ამბობენ, ბოლო დროს ეს ადამიანი ვაშინგტონს სერიოზულად უშლიდა ნერვებს.

სააკაშვილის საწინააღმდეგო განცხადება მისმა ძველმა ფანმა მეთიუ ბრაიზამაც კი გააკეთა. ამერიკელები საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს აგვისტოს ომს ვერ პატიობენ.

„ამერიკის ხმისთვის" რამდენიმე თვის წინ მიცემულ ინტერვიუში ბრაიზამ ვრცლად ისაუბრა აგვისტოს ომზე და საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობის გამოცდილებაზე.

— შეერთებული შტატები უწყვეტად, გარკვევით და მკაცრად ეუბნებოდა საქართველოს, რომ თბილისმა აზრადაც კი არ უნდა გაივლოს რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება. ეს გზავნილი იყო მკაცრი და ზოგჯერ უხეშიც კი. ჩვენ ვეუბნებოდით, რომ თუ წამოიწყებთ სამხედრო დაპირისპირებას, წააგებთ. საქართველოს მოგების არანაირი შანსი არ აქვს. მთლიანად განადგურდება ის დანაყოფები, რომლებიც ჩვენ აღვჭურვეთ და გავწვრთნით, გაქრება ნატოში გაწევრიანების უმცირესი შანსიც კი და ჩვენ ვერ დაგეხმარებით, — განუცხადა მეთიუ ბრაიზამ „ამერიკის ხმას".

აგვისტოს ომზე სააკაშვილი ცოტა ხნის წინ საქართველოში აშშ-ს ყოფილმა ელჩმა რიჩარდ მაილსმაც გააკრიტიკა. სწორედ მაილსის ელჩობის დროს მოხდა საქართველოში ვარდების რევოლუცია, რომლის წყალობითაც პრეზიდენტის პოსტს სააკაშვილი დაეპატრონა.

მაშინ ელჩ მაილსს ძალიან მოსწონდა მიხეილ სააკაშვილი. ახლა კი ამბობს, რომ აგვისტოს ომი სააკაშვილის პოლიტიკური სიგიჟე იყო.

აშშ-ს ყოფილი ელჩი, რიჩარდ მაილსი მიიჩნევს, რომ აგვისტოს ომი მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური სიგიჟე იყო. ამის შესახებ მაილსი ტელეკომპანია „იმედთან" ინტერვიუში აცხადებს.

— 2008 წლის აგვისტოს ომის დროს კონფლიქტში შესვლა ისე, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა, პოლიტიკური სიგიჟე იყო. მან ალბათ იფიქრა, რომ შეერთებული შტატები მას რაიმე დახმარებას აღმოუჩენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ არ შევიდოდა. ის, მთლად შეშლილი არ არის. რაღაც ამდაგვარი უნდა ეფიქრა, მაგრამ საიდან მოუვიდა თავში ეს აზრი, არ ვიცი. პრეზიდენტ სააკაშვილის ადგილზე მყოფი ადამიანები, ჩემი აზრით, ფიქრობდნენ, რომ ამ ომის შემდეგ გადადგებოდა და ახალ საპრეზიდენტო არჩევნებს დანიშნავდა. რა მიზეზით დარჩა თანამდებობაზე? — განაცხადა მაილსმა.



## ნუგზარ წიკლაური: ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენება პოლიტიკური შურისძიებაა"

„ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი წევრის, ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ბრალის წაყენება ექსპრემიერის, ბიძინა ივანიშვილის შურისძიებაა.

„ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტა, რომ პროცესების ფორსირება მოახდინოს და ეს სინამდვილეში არის პოლიტიკური ვენდეტა, პოლიტიკური შურისძიება", -განაცხადა წიკლაურმა.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლას, წიკლაურის თქმით, ის სამართლებრივ პროცესში მონაწილეობას მიიღებს.

„ხოლო ის, თუ როდის ჩამოვა საქართველოში, ნამდვილად არ შეუთანხმებს რუს ოლიგარქს. ჩამოვა საჭირო დროს, სასამართლოს მისცემს ჩვენებას და არავითარ შემთხვევაში, არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემას თავს არ აარიდებს",— განაცხადა წიკლაურმა.

ნიუსპრესი

## გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელს 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ გაუპატიურების მცდელობაში ბრალდებულ ყოფილ პოლიციელს, გოგა ანჩაბაძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გოგა ანჩაბაძის ადვოკატმა, ალექსანდრე თათელიშვილმა აღნიშნა, რომ სასამართლომ მიკერძოებული გადაწყვეტილება მიიღო, რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, ეს არის შეთითხნილი ბრალდება, რომელიც „ჭორიკნობაზეა" აგებული. მანვე აღნიშნა, რომ ხელოვნურად შეიქმნა ემოციური ფონი მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქმესთან დაკავშირებით, რათა გადაეფარათ გოგა ანჩაბაძის მიმართ განხორციელებული ძალადობა.

განაჩენამდე სასამართლოს საბოლოო სიტყვით მიმართა თავად ბრალდებულმა. მან განაცხადა, რომ უდანაშაულოა, რასაც ადასტურებს საქმეში მოწმეთა ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები არარსებული მტკიცებულებათა ერთობლიობა. გოგა ანჩაბაძის ადვოკატის განცხადებით, ის საქმეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

გოგა ანჩაბაძეს მეგობრის ცოლის, ანა ძაპტაშვილის გაუპატიურების მცდელობისთვის ამ უკანასკნელის ქმარმა კონსტანტინე გულორდავამ სცემა და მრავლობითი დაზიანებები 12 ნოემბერს მიაყენა. მკურნალობის კურსს ანჩაბაძე ჯერ ზუგდიდში, შემდეგ კი ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადიოდა.

გოგა ანჩაბაძეს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი პატიმრობა 21 დეკემბერს შეუფარდა. დაცვის მხარე ითხოვდა ბრალდებულის 7 000 ლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას, თუმცა მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ანჩაბაძის მიმართ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19, 137-ე მუხლის მესამე ნაწილითა მიმდინარეობდა, რაც გაუპატიურების მცდელობას გულისხმობს და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით.

მედიანიუსი

## თინა ხიდაშელი ავტომობილების სანომრე ნიშნების შეცვლის წინააღმდეგია



პარლამენტარი თინა ხიდაშელი ავტომობილების სანომრე ნიშნების შეცვლის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ მოსახლეობა დამატებითი ხარჯების წინაშე დგება, რისი აუცილებლობაც არ არსებობს.

ამის შესახებ განაცხადება თინათინ ხიდაშელმა პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ" კანონში დაგეგმილი ცვლილების განხილვისას გააკეთა.

,,მე დღეს ვერ ვხედავ ცვლილებების მიღების მიზანშეწონილობას. მთავარი არგუმენტი ის არის, რომ მოქალაქეებს რეალურ ცხოვრებაში დამატებით 70 ლარის გადასახადი ეკისრებათ — ეს არის სანომრე ნიშნის 35 ლარი და ტექნიკური პასპორტის ხარჯი, რაც ასევე ფასიანია და ავტომატურად იწვევს გამოცვლას. 2020 წლამდე დაახლოებით 70 მილიონი უნდა მივიდეს არასაბიუჯეტო იურიდიული პირის ანგარიშზე და ეს მოსახლეობიდან უნდა იყოს ამოღებული. სრულიად გაუგებარია, რატომ ვაკეთებთ დღეს ამას?! ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების კვალობაზე სულ უფრო და უფრო მაღალი შანსია, რომ 2020 წლამდე კიდევ ერთხელ მოგვიწიოს სანომრე ნიშნის გამოცვლა. კანონპროექტი, რომლითაც კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მოსახლეობამ ჯამურად არასაბიუჯეტო იურიდიული პირის ანჯარიშზე 70 მილიონი ლარი უნდა გადაიხადოს, ფინანსურად დასაუსაბითებელია. ამის საჭიროება დღეს არ არსებობს", — განაცხადა ხიდაშელმა.

მედიანიუსი

## პარლამენტის ყოფილი შენობის წინ ისრაელის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

თბილისში, საქართველოს პარლამენტის ყოფილი შენობის წინ ქართველების საინიციატივო ჯგუფისა და ორგანიზაცია „რეფორმატორების" ორგანიზებით ისრაელის მხარდამჭერი აქცია გაიმართა.

აქციას შეუერთდნენ საქართველოში მყოფი ებრაელები, რომლებიც სიხარულს გამოხატავდნენ ქართველების მხრიდან ასეთი მხარდაჭერის გამო.

აქციაზე შეკრებილებს სიტყვით მიმართა ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის აღსანიშნავი ღონისძიების კომისიის თანათავმჯდომარე ჯამლეტ ხუხაშვილმა.

მისი თქმით, ქართველებს სწამთ, რომ ისრაელის არმია იყო მართალი დღეს და 45 წლის წინათაც.

„ისრაელის არმია არასდროს ყოფილა აგრესიული და ებრძოდა მშვიდობიან მოსახლეობას. ის ებრძვის არა ღაზას მოსახლეობას, არამედ იქ მოკალათებულ ტერორისტებს", — განაცხადა ჯამლეტ ხუხაშვილმა.

აქციაზე იმყოფებოდა საქართველო-ისრაელის სამრეწველო პალატის წარმომადგენელი ია ჩანტლაძე, რომელმაც განაცხადა, რომ მხარს უჭერს მშვიდობას და უარს ეუბნება ომს.

„ეს ომი არის ორი აბსოლუტურად არათანაბარ პირობებში მყოფი ერთეულების ომი. ისრაელის სახელმწიფოს ომი ტერორისტული დაჯგუფების „ჰამასის" წინააღმდეგ. ეს არ არის პალესტინელი ხალხის წინააღმდეგ. ამიტომ მე მხარს ვუჭერ ისრაელს და მის თავდაცვით პოლიტიკას ტერორიზმის წინააღმდეგ", — აღნიშნა ია ჩანტლაძემ.

აქციის მონაწილეები ისრაელის მხარდამჭერ მიმართვას გადასცემენ ისრაელის სახლის ხელმძღვანელ იციკ მოშეს. ის ასევე გადაეგზავნება ისრაელის პარლამენტს და მთავრობას.

იციკ მოშეს თქმით, ეს აქცია გაიმართა ქართული საზოგადოების ინიციატივით ისრაელის მხარდასაჭერად. ის ღრმად არის დარწმუნებული, რომ თითოეული ქართველი უარს ეუბნება ტერორიზმს და მხარს უჭერს ისრაელის სამშვიდობო ოპერაციას, რომელიც ტერორიზმის წინააღმდეგ არის მიმართული.

„დღეს ისრაელი ეწევა თავდაცვით სამხედრო ოპერაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში ტერორისტები მათ სრული განადგურებით ემუქრებიან", — განაცხადა იციკ მოშემ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ხალხს ურტყით ძირითადად თირკმლებში, მუცელში. ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან!“

## რა წერია ვასიკო მაღლაფერიძის ჩვენებაში მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ



შორენა მარსაგიშვილი

**რამდენიმე წლის წინ სახალხო დამცველის პოსტზე მყოფმა სოზარ სუბარმა პარლამენტში სკანდალური განცხადება გააკეთა. მან გაახმოვანა იმ თათბირის დეტალები, სადაც 7 ნოემბრის დარბევა დაიგეგმა. დეპუტატი ეკა ხერხეულიძე სოზარ სუბარს მაშინ დაემუქრა, ამის გამო სასამართლოში გიჩივლებო. იქიდან მოყოლებული, ყველა კითხულობდა, საიდან მოიტანა სოზარ სუბარმა ეს ინფორმაცია. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ეს ინფორმაცია სოზარ სუბარს ყოფილმა დეპუტატმა ვასიკო მაღლაფერიძემ მიაწოდა, რომელსაც იმ დროისათვის მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის პოსტი ეკავა.**

გუშინ ცნობილი გახდა ისიც, რომ ამის შესახებ მან ჩვენება პროკურატურასაც მისცა. ის პროკურატურის ერთ-ერთი მთავარი საქმეა.

— ჩვენება პროკურატურაში დაახლოებით ორი კვირის წინ მივეცი. ახლა მოკლე საუბარი გვქონდა. პროკურატურაში მკითხეს, ვადასტურებდი თუ არა იმ ინფორმაციას და იმ დოკუმენტის ნამდვილობას, რომელიც მე სახალხო დამცველს 2007 წლის 5 ნოემბერს, თათბირიდან მეორე დღეს მივაწოდე. პროკურატურას განვუცხადე, რომ ვადასტურებდი, — განაცხადა მაღლაფერიძემ ტელეკომპანია „იმედთან“ სატელეფონო საუბრისას.

მაღლაფერიძისავე ინფორმაციით, ეს ტექსტი ითარგმნა და თომას ჰამერბერგსა და პიტერ სემნებს გასაცნობად გაეგზავნა.

გაირკვა ისიც, რომ მაღლაფერიძეს ის ავადსახსენებელი თათბირი თავის დღიურში დაუწერია. ვასიკო მაღლაფერიძის თხოვნით „ლიბერალმა“ ეს ტექსტი უცვლელად გამოაქვეყნა. აი, რა ხდებოდა იმ თათბირზე.

### ვასიკო მაღლაფერიძის დღიურიდან

„დღეს, 2007 წლის 5 ნოემბრის საღამოა, გადავწყვიტე ქაღალდზე გადავიტანო ის, რის შემსწრეც გავხდი გუშინ და რაზეც უკვე თითქმის ოცდაოთხი საათია განუწყვეტლივ ვფიქრობ. ამ თემაზე კიდევ დიდხანს ვიფიქრებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ვალდებული ვარ, სხვასაც მივცე ამ თემაზე დაფიქრების საშუალება. ამისთვის კი მოვყვები მხოლოდ იმას, რაც ვნახე და მოვისმინე.

მხოლოდ ფაქტი.

გუშინ, 4 ნოემბერს, კვირას, დაახლოებით დილის 11 საათზე, მობილურ ტელეფონზე დამირეკეს სამთავრობო ოთხნიშნა ნომრიდან. ავიღე, ქალბატონმა მითხრა, ელაპარაკეთ შსს მინისტრის თანაშემწესო. ახალგაზრდა კაცი წარმომიდგა, ესა და ეს გარო, გვარ-სახელი არ მახსოვს, პირველად გავიგე და არც მნიშვნელობა მიმინიჭებია. ძალიან ზრდილობიანად მაცნობა, დღეს, საღამოს ცხრა საათზე მინისტრმა გთხოვათ გუბერნატორებს მოსვლა და ხომ შეძლებთო? დავეთანხმე, მადლობა გადამიხადა და გავთიშეთ ტელეფონები.

გადავურეკე ჩემს მძღოლს, ვუთხარი, მოსულიყო 20:15 წუთზე, ვიფიქრე, მიტინგის გამო გზებზე საცობებს არ შეეშალათ ხელი, თუმცა, უპრობლემოდ მივედით და დაახლოებით ნახევარი საათი შსს-ს შენობის პირდაპირ, გზის გადაღმა მანქანაში ვიჯექი. დრო რომ მოვიდა, შევედი შენობაში, ლიფტთან შემხვდნენ მეორე შესასვლელიდან შემოსული დავით კირკიტაძე და ზაზა გოროზია. მეხუთე სართულზე ავედით და პირდაპირ შევედით ვანო მერაბიშვილის კაბინეტში. იქ დაგვხვდნენ ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თბილისის მერი გიგი უგულავა, კუდის ყოფილი უფროსი დათა ახალაია, კულტურის მინისტრი გოკა გაბაშვილი, ამირან მესხელი (?) (ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც ამირანს ეძახდა ვანო და ვიფიქრე, მესხელი თუ არის-მეთქი), რომლის თანამდებობაც არ ვიცი, სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი გოგა ხაჩიძე, იმერეთის გუბერნატორი კაკო ბობოხიძე, შიდა ქართლის გუბერნატორი, რომელიც მეორედ ვნახე და გვარი არ მახსოვს, ქვემო ქართლის გუბერნატორი ზურაბ მელიქიშვილი.

ვანო ჩქარობდა, დავიწყოთო.

ვიღაცამ თქვა, საცაა მიხოც მოვაო და, მართლაც, ორ წუთში გურიის გუბერნატორი მიხო სიმონიშვილიც მოვიდა. აი, ოქრუაშვილის კიდევ ერთი კადრიც მოვიდა, იხუმრა ვიღაცამ, ეგ, აუცილებლად, გენერალური პროკურორის გვერდით დასვითო (გარკვეული პერიოდის წინ, ივლის-აგვისტოში, მიხოზე საუბრები მიდიოდა და, არცთუ უსაფუძვლოდ, რომ შეიძლება ოქრუაშვილთან სიახლოვის გამო პრობლემები შეექმნასო. პროკურატურამაც დაუწყო ერთ პერიოდში ჩიჩქნა). მიხომ უხერხულად გაიცინა და მართლაც ადეიშვილის გვერდზე დაჯდა.

მელიქიშვილმა თქვა, გია ნაცვლიშვილმა (კახეთის გუბერნატორი) დამირეკა, სართიჭალას გამოვცდიო. კირკიტაძე ეხუმრა, შენ რას გირეკავს, ვიზას ხომ არ გთხოვს, შენს ტერიტორიაზე გამოვლისთვისო. კაკომ საიდანღაც იაპონური ხმალი აიღო, აქეთ-იქით იქნევდა და, როგორც ყოველთვის, ხმაურობდა. ვიღაცამ უთხრა, დადე, ეგ ხმალი ხომ არ გგონია, ხარაკირის ხანჯალიაო. მაშინ სიცილით ჩემსკენ გამოაცურა მაგიდაზე, მაშინ ეს ვასიკოსთვის დამითმიაო (ჩემმა ყოფილმა მოადგილემ ორი-სამი კვირის წინ მწვავე განცხადებები გააკეთა პრეზიდენტის ოჯახის წინააღმდეგ და ოპოზიციას შეუერთდა და ამაზე მეხუმრებოდა. მანამდეც გამეხუმრნენ ამ თემაზე ერთი-ორჯერ, ვერ ვიტყვი ბოროტად, თუმცა, ორაზროვნად, როგორც ეს საერთოდ ხელისუფლებაშია მიღებული). ვანომ გაიცინა, მართალი არ გეგონოს, არ შეშინდეო. არც მეშინია, ჩემგან ერთი გადავიდა და რაც მთავრობიდან და უმრავლესობიდან ხალხი გადავიდა ოპოზიციაში, ჩემამდე იმდენს აქვს ხარაკირი გასაკეთებელი, ჩემამდე ვერც მოაღწევს ეს ხანჯალი-მეთქი, ვეხუმრე მეც. ასეთი ორაზროვანი სიამტკბილობით ვიწყებდით თათბირს.

ვანომ, გვეჩქარება, ვეღარავის დაველოდებით, დავიწყოთო. თან უგულავას უთხრა შეთამაშებული ხუმრობით, ზედმეტებმა დაგვტოვონ, ხელს ნუ გვიშლი, ოტიაშვილთან (თუ უტიაშვილთან — კარგად ვერ გავიგე) გადიო. გიგი ოთახში წინ და უკან დადიოდა და ღლაბუცობდა, ნუ არღვევ ადამიანის უფლებებსო და სვიტრს ვეძებო თუ რაღაც ესეთი. ეს ერთი სვიტრიც რომ შენ დაგიტოვო, შეირჩენ და მე რაღა ვქნაო. მერე მართლაც იპოვა სავარძელზე მიგდებული სვიტრი და გავიდა. გუშინ არ მიფიქრია, დღეს შთაბეჭდილება მრჩება, წინასწარ შეთანხმებულები იყვნენ, რომ იგი ამ ლაპარაკს არ უნდა დასწრებოდა. ვანომ კიდევ იხუმრასავით (საერთოდ მთელი თათბირი სულ სიცილ-ხითხითით მიმდინარეობდა. ოღონდ მეორე ნაწილში, რომელიც ახლა იწყება, ბევრ გუბერნატორს აღარ გვეღიმებოდა), კიდევ ვინმე ხომ არ არის ზედმეტიო, მერე გოკას შეხედა და, აი, კიდევ ერთი ზედმეტი, მაგრამ რადგან დარჩი, იყავიო. ახლა ამ ეპიზოდს რომ ვიხსენებ, მგონია, რომ გოკა ვერ მიხვდა, რომ უნდა გასულიყო და მას არ მართებდა იქ დარჩენა, რათა უგულავასავით ფორმალურად „თეთრი ხელთათმანებით“ დარჩენილიყო.

ცხადია, მათ ვიწრო წრეში მოლაპარაკებული და დალაგებული ჰქონდათ, რაც შემდგომ გვითხრეს, მაგრამ ამდენ ხალხში, ასეთ საჩოთირო თემასთან დაკავშირებით ზედმეტ მოწმედ ყოფნა, არაფერში სჭირდებოდა. თუმცა, ვიმეორებ, ეს ფიქრი შემდგომ გამიჩნდა, მაშინ კი, სხვა რამ მაინტერესებდა, ჩემი გუბერნატორობის ორწელიწადნახევრის განმავლობაში არ მომხდარა, ყველა ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელი ერთად შეგვხვედროდა გუბერნატორებს, მეტიც, ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოვახერხე ტელეფონით დავკავშირებოდი გენერალურ პროკურორს, რომელთანაც საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა, სანამ ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ძალოვანთა მხრიდან ამგვარი ყურადღება რაღაც ძალიან მნიშვნელოვანთან რომ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, მაგრამ ოდნავ მაბნევდა კულტურის მინისტრის იქ ყოფნა. ძალოვნების და კულტურის მინისტრის ამგვარი სიმბიოზი საკმაოდ უცნაურად ჩანდა. ზოგადად ვვარაუდობდი, რომ საუბარი იქნებოდა რუსთაველზე მიმდინარე აქციის რაიმე პიარკამპანიით გადაფარვაზე.

მერაბიშვილის სამუშაო მაგიდის მარჯვნივ, მართკუთხა მაგიდის ერთ თავში იჯდა ზურაბ ადეიშვილი, მისგან მარცხნივ, კედლის მხარეს ზურაბ მელიქიშვილი, ოთარ სირაძე (რაჭის გუბერნატორი, რომელიც ზემოთ ჩამოთვლისას გამომრჩა), შიდა ქართლის გუბერნატორი, ამირანი მესხელი (?) და თვითონ ვანო. მაგიდის მეორე თავში ისხდნენ დავით კეზერაშვილი და დათა ახალაია. მეორე მხარეს დავით კირკიტაძე, აკაკი ბობოხიძე, გოგა ხაჩიძე, მე, ვასილ მაღლაფერიძე (მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი) და გოკა გაბაშვილი. ჩვენს უკან სკამზე იჯდა ახალგაზრდა ბიჭი, ალბათ, ვანოს თანაშემწე.

დაიწყო ვანომ, ორ საკითხთან დაკავშირებით მინდა თქვენთან საუბარიო. პირველი, უნდა იყოთ ძალიან მხნედ, ყველამ უნდა დაგინახოთ, რომ დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, რაც ქუჩაში ხდებაო. ეს მხიარული (ზუსტად ეს სიტყვა გამოიყენა!) ნაწილია იმისა, რაც უნდა გითხრათ, ახლა კი სერიოზულ ნაწილზე გადავიდეთო და მონოლოგის სახით გვითხრა ის, რაზეც თავშიც ვთქვი, რომ ორი დღეა ვფიქრობ.

„ეს ნაძირლები ძალიან გაბლატავდნენ, ორ დღეში მოინდომეს იმის წაღება, რისთვისაც ჩვენ ოთხი წელი ვიბრძოდით. მართალია, დიდი არაფერი ძალა არა აქვთ, მაგრამ აუცილებელია პრევენციული ზომების მიღება. კაცმა რომ თქვას, რაიონებიდან მართლაც არ ჩამოსულა ბევრი ხალხი, მაგრამ ვინც ჩამოვიდა ან აწი ჩამოვა, ყველას უნდა მიხედვა. უკვე დავალებული აქვს კონსტიტუციურს, მაგრამ თქვენც აქტიურად უნდა ჩაერთოთ ამ პროცესში, შეადგინეთ სიები ყველა მიტინგზე ჩამომსვლელის, შეუშვით თქვენი ხალხი მიტინგზე, არც არც ერთი ადამიანი არ უნდა ჩავიდეს უკან გაულახავი. არა სახალხოდ, სათითაოდ. მაგალითად, გურიიდან ან ზუგდიდიდან ჩამოსულ ადამიანს უკან გზაზე გააჩერებენ, მაგალითად, ქუთაისთან და დაუნგრევენ თირკმელებს. გენერალური პროკურორი აგერ არის და გვაძლევს ნებართვას (სიცილით!).“

— მე არაფერი გამიგია, ჩუმად ვარ და რომ მორჩება ყველაფერი, მერე გეტყვით, რას ვფიქრობ, — ეს იყო ერთადერთი და ღიმილით წარმოთქმული რეპლიკა, რომელიც ადეიშვილმა ჩემს იქ ყოფნაში თქვა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ შიგადაშიგ ორიოდე წამოძახილს: „დავიჭიროთ“, „დედა მოვუ...ნათ“).

„მოკლედ, ისე უნდა გაილახოს, რომ დიდ ხანს ვერ დადგეს ფეხზე, სახეზე ერიდეთ, არ არის აუცილებელი, ძირითადად თირკმლებში, მუცელში, ვინც არ იცის, როგორ, გაიარეთ კონსულტაციები ახალაიასთან.“

ჩემგან მარჯვნიდან, კეზერაშვილისგან ან ახალაიასგან (ბობოხიძე და კირკიტაძე ნამდვილად არ იყვნენ, მათ ხმას კარგად ვცნობ) ისმის სიცილნარევი რეპლიკა: „განსაკუთრებულ შემთხვევაში სახეშიც შეიძლება!“

ვანომ განაგრძო: „განსაკუთრებულში აუცილებელიც კია, ოღონდ განსაკუთრებულში, ასეთებიც ბევრი ვიცით (იცინის!). ვინც ცოტა „მოშავოა“ ან ეგეთი ტიპი, ჯიბეში ნარკოტიკი და ბაჩოსთან. გარეთ ერთი ახალაია მოუვლით, შიგნით მეორე ახალაია დახვდებათ“. საკუთარ ამ ხუმრობაზე საკმაოდ იცინა.

შემდეგ გააგრძელა: „ცემა არის აუცილებელი, იმიტომ, რომ რაიონებში ჩადიან მიტინგებზე ნამყოფი ადამიანები და იწყებენ იქ ბლატაობას და ხალხის შემოკრებას, გალახული კაცი კიდე არის ჩმორი საქართველოში და კარგავს ეგრევე გავლენას.“

— ეს თვითონაც კარგად იციან და იმიტომ უნდოდათ ჩხოროწყუს გამგებლის გალახვა და არ დავანებეთ, — წამოიძახა გოროზიამ.

— არ დაანებე კი არა ისა, თუ რამის თავი გქონდა, ზუგდიდში გექნა, ახალაია რომ არა, მოდიოდნენ ბედნიერად იქიდან, — ჩემგან მარჯვნიდან იყო ვიღაცის რეპლიკა. გოროზიამ ჩაიბურდღუნა რაღაც და გაჩუმდა.

გოგა ხაჩიძემ ითხოვა, რაღაცის თქმა მინდაო.

ვანომ, გისმენთო.

„მე ბევრი ვიფიქრე შექმნილ ვითარებაზე და მგონი არ იქნება ცუდი, თუ გავუშვებთ კლიპებს, სადაც მითითებული იქნება, თუ ოპოზიციის კონკრეტული გამონათქვამები კანონის რომელ მუხლს არღვევენ.“

კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვანომ გააწყვეტინა: „არ არის ახლა ამ სისულელეების დრო, ახლა თეორიების და ჰაერში ფრენის დრო არ არის, ლაპარაკია, ამ ბოზების ბოლომდე ჩატ...აზე. შექმნით ჯგუფებს, პირველად რომ დაბეთქავენ ვიღაცას, მერე ისეთ აზარტში შევლენ, ვერ გააჩერებთ. ეს ბევრჯერ გამოვცადეთ. ორი საქმე კეთდება, ბოზები იტ......ან და ჩვენი რიგები მტკიცდება. არ შეიძლება, ახლა ჩვენ ერთმანეთზე ვეჭვიანობდეთ, ასე გადავჭამთ ერთმანეთს. ამიტომ ვინც ჩვენიანია, საქმით უნდა დაამტკიცოს. თუ ვინმე ბიზნესმენია შენიშნული ოპოზიციის დაფინანსებაში, აგერ კეზერაშვილს უთხარით და მიხედავს. ეპარქიებთან იმუშავეთ, იმ ბიზნესმენებთან, ვინც ეპარქიებს ეხმარებიან, რომ ხალხს სისულელეები არ ელაპარაკონ. მიტინგზე გადახედეთ, ყველას გვყავს ნაცნობი სპორტსმენი, მსახიობი, ეგეთი ტიპები, დაურეკეთ, გადმოიბირეთ, დაარწმუნეთ, შეაშინეთ, თუ გინდათ მოისყიდეთ, ოღონდ ფული არ მომთხოვოთ (იცინის). ამაზე გამახსენდა, ონაშვილზე რა ქენით?

— ჩემთან მყავდა და მივხედე, ყველაფერი წესრიგშია, — უპასუხა ახალაიამ.

„აი, ასე სხვებთანაც. ეს სასწრაფოდ გასატარებელი ღონისძიებებია, დანარჩენს მერე მოვ....ავთ დედებს, ერთი არ უნდა დაგვრჩეს უყურადღებოდ. მთავარია, მიტინგზე წასვლის შეეშინდეთ, ცემა არის ამის წამალი. გაიგეთ, ვინ არიან, მათი ნათესავები, მამა, ბიძაშვილი, ზოგზე ასე ვიმოქმედებთ, ზოგზე ისე, ზოგი გაილახება, ზოგთან ფინანსური შევა, ზოგს ჯიბეში ნარკოტიკი. ყოფილი პოლიციელები გამოსულან მიტინგზე, დედებს მოვ.....ვთ, უკვე მოვნახეთ წესიერი და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პატიმრები, რომლებიც დაწერენ, როგორ აწამებდნენ ის პოლიციელები თავის დროზე. ამათ გავუნახევრებთ, იმათ შევყრით. ახლა არის გადამწყვეტი მომენტი და მთავარია სიმტკიცე. დალაქიშვილს ყოფა აქვს სატირებელი „დვურუშნიკობისთვის“. დაურეკეს და ბლოკების დალაგება უთხრეს, ვითომ დაალაგა. ჯერ ერთი, თუ დებ, ისეთი დადე, ხელით ვერ გაწიონ, თან ორმოცდაათ ადგილას დარეკა და ატეხა პანიკა. ეს არის ჩათლახობა.“

მერე ისევ სიცილით გააგრძელა:

„სულ წუხდა ბობოხიძე და დანარჩენებიც, გუბერნატორებს ფუნქცია და უფლებები არ გვაქვსო. აჰა, უფლებებიც გაქვთ და ფუნქციაც, გამოიყენეთ. რა დრო დაგვიდგა, კაკო, შენი დახმარება რომ გვჭირდება?“

„კაკო“, სიტყვის მასალად თქვა, ადრესატი ყველა გუბერნატორი იყო. „ხვალიდანვე შეუდექით საქმეს, დაუძახეთ კონსტიტუციურს, პოლიციის უფროსებს და გააკეთეთ შტაბები. თბილისს ჩვენ მივხედავთ. ახლა მოვრჩით, სხვა საქმეები გვაქვს“.

შეხვედრის დასასრულს, შემოვიდა უგულავაც, მაგიდასთან არ მოსულა, ვანოს მაგიდასთან იჯდა და იქიდან გვისმენდა. უკვე ვიშლებოდით, როცა მოვიდა გია ნაცვლიშვილი და იკითხა, რაზე საუბრობდითო. ახლა შენი გულისთვის თავიდან ვერ დავიწყებ, დარჩი და მიხვდებიო.

წამოვედით, დარჩნენ მერაბიშვილი, ადეიშვილი, უგულავა, კეზერაშვილი, ახალაია, გაბაშვილი, კირკიტაძე, ნაცვლიშვილი, შეიძლება სხვა ვინმე სხვაც.


მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

2014, 30 ივლისი, №178

# მამუკა არეშიძე: სააკაშვილის დაპატიმრება ახლო მომავალში მოსალოდნელი არ არის“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

***— ბატონო მამუკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სამართლებრივი დევნა დაიწყო, მას ბრალიც წარედგინა. როგორც ექსპერტი, როგორ აფასებთ ამ პროცესს?***

— როგორც ჩანს, პროკურატურა ახლა უკეთ მოემზადა, მიუხედავად იმისა, რომ იურისტებმა გარკვეული წინააღმდეგობები მაინც აღმოაჩინეს იმ ბრალდებებში, რომლებიც პროკურატურამ წაუყენა სააკაშვილს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ საქართველოში იმყოფებოდნენ პროკურორები, რომლებიც, როგორც მე ვიცი, ძალიან გააკვირვა იმ ფაქტმა, რაც მათ პროკურატურამ გააცნო. ისეთმა ინფორმაციებმაც გამოჟონა, რომ ამ ხალხს ამ დოკუმენტების გაცნობის მერე ასეთი კითხვაც კი დაუსვამთ, კი მარა, აქამდე სად იყავითო?



***— ანუ დიდი როლი ითამაშა უცხოელი პროკურორების ვიზიტმა? ქართველ პროკურორებს ზურგი გაუმაგრდათ?***

— რასაკვირველია. ერთი მხრივ, ზურგის გამაგრების ფაქტიც არის და მეორე მხრივ, არის ის, რომ როდესაც შენ ამ ადამიანებს შეფასებას აკეთებინებ, თუნდაც არაოფიციალურს, უფრო მყარად დგახარ თუნდაც იმ პრეტენზიების წინააღმდეგ, რომელთაც ჩვენი პარტნიორები გვიყენებენ ხოლმე. ასეთი რამ ძალიან წაგვადგა, როდესაც თომას ჰამერბერგი იყო ჩამოყვანილი საქართველოში. ამ კაცის ავტორიტეტმა გააქარწყლა და გააბათილა ის პრეტენზიები, რომლებიც ევროპიდან ჩვენ მიმართ იყო. ჰამერბერგმა დღევანდელი ხელისუფლებაც გააკრიტიკა გარკვეულწილად, მაგრამ ესეც მისი ობიექტურობის ნიშანია და არა ტენდენციურობის. მე არ ვარ იურისტი, შესაძლოა, ამაში შემედავოს ვინმე, მაგრამ ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია რეჟიმის გასამართლება, რეჟიმისთვის ბრალდების წარდგენა, ვიდრე კონკრეტული დამნაშავეების დევნა. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ მიხეილ სააკაშვილს.

***— ფიქრობთ, რომ მთლიანად რეჟიმი უნდა გასამართლდეს?***

— რასაკვირველია, ასე უფრო სამართლიანია. როდესაც რეჟიმის შეფასება ხდება ფუნდამენტალურად, ყოველმხრივ, ეს უფრო ეფექტურია. გარდა მაგისა, რეჟიმის ყველა წევრი, ვინც მონაწილეობდა ამ საქმეების განხორციელებაში, ყველაა პასუხისმგებელი. მათ შორის რეჟიმის ხელმძღვანელი, მიხეილ სააკაშვილი. რეჟიმის გასამართლების შემთხვევაში მარტო ის ადამიანები კი არ იქნებიან პასუხისმგებლები, ვინც ახლა ზოგი მიმალვაშია, ზოგი ციხეში ზის და ზოგი კიდევ თავის დროს ელოდება. არამედ ის ადამიანებიც, ვინც დღეს თანამდებობებზე და ხელისუფლებაში არიან. მე ვიცი, რომ აბსურდულ რამეს ვამბობ, რადგან ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები თავის საწინააღმდეგო ქმედებას არ გააკეთებენ. თუმცა მე ამ შემთხვევაში საზოგადოებას მივმართავ და საზოგადოებას ვეუბნები, რომ ორიენტირებული ამაზე უნდა ვიყოთ. სააკაშვილი მთავარი დამნაშავეა, მაგრამ ეს ადამიანებიც დამნაშავენი არიან.

***— რამდენად წავა ამაზე ახალი ხელისუფლება?***

— არ წავა და ვერც წავა, რადგან ხშირად ერთი და იგივე პროკურორია იმ პროცესის მონაწილეც და ამ პროცესის მონაწილე წავა საკუთარი თავის წინააღმდეგ?! არ წავა!

***— რამდენად მოხერხდება სააკაშვილის დაპატიმრება?***

— რთული სათქმელია, ძალიან რთული პროცედურაა და შორეული პერსპექტივის. ასე მარტივად არ ხდება. თან ისეთი ტიპის დანაშაული, რომელიც მთელი ევროპული მასშტაბის იყო, როგორიც მილოშევიჩის იყო, სააკაშვილს არ ჩაუდენია. ეს არის კონკრეტულ ქვეყანაში ჩადენილი დანაშაული და ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილს ძალიან სერიოზული ლობი ჰყავს და ესეც მის კარგ მუშაობაზე მეტყველებს, წლების განმავლობაში მან ეს სისტემა შექმნა. მოდით, დავსვათ შეკითხვა — მთავარი ამოცანა ჩვენთვის სააკაშვილის დაპატიმრებაა თუ რეჟიმის გასამართლება? მე ვთვლი, რომ რეჟიმის გასამართლება.

***— თუკი ხელისუფლებამ იცის, რომ ასე მარტივად არ მოხდება, რომ სააკაშვილის სერიოზული ზურგი აქვს, ეს ერთგვარად პიარის ნაწილი ხომ არ არის, ან რაღაცა პროცესების გადაფარვის მცდელობა?***

— არ არის მარტო პიარი. დავუშვათ, არის პიარი, დავუშვათ, საზოგადოებისთვის თვალებში ნაცრის შეყრაა, ეს ელემენტი შეიძლება არსებობდეს, მაგრამ შევხედოთ მეორე მხრიდან, ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა გარკვეული ტიპის აქტივობებს აპირებს შემოდგომაზე, პოლიტიკური აქტივობები იგულისხმება. როდესაც საქმე არის აღძრული ამ აქტივობების ავტორების წინააღმდეგ, ძალიან რთულია, რომ ისინი აქტიურები იყვნენ ევროპულ ასპარეზზე. ასე რომ, ამ თვალსაზრისით სერიოზული ბერკეტი უჭირავს ხელისუფლებას ხელში და სერიოზულ პრობლემებს უქმნის ამ პიროვნებებს.

***— ხელისუფლება ამით ნაციონალების განეიტრალებას ცდილობს?***

— გარკვეულწილად განეიტრალებაზეც იმუშავებს, ბუნებრივია. ადამიანისთვის, რომლის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, პოლიტიკური აქტიურობა ცოტა რთულია, რადგან ის ჯერ თავის დაცვაზე ფიქრობს პირველ რიგში.

***— მთავრობაში მომხდარ საკადრო ცვლილებებზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— ირაკლი ღარიბაშვილი მთავრობაში უფრო მასშტაბური ცვლილებების განხორციელებისთვის ემზადება. ღარიბაშვილს სურს თავისი გუნდის შექმნა და ამ გუნდით მთავრობის სრულად დაკომპლექტება. პრემიერისთვის უფრო კომფორტული იქნება, თუ ეყოლება საკუთარი გუნდი, სადაც ნაკლებად იქნებიან დამოუკიდებელი ფიგურები. თუნდაც ისეთები, როგორიც ირაკლი ალასანიაა. დღეს ხელისუფლებას ერთი სერიოზული პრობლემა აქვს, ის ვერ ახერხებს საზოგადოებამდე გაკეთებული საქმეების მიტანას. ძალიან ბევრი რამ არის გაკეთებული ამ ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მაგრამ ეს საზოგადოებამ არ იცის. ხომ შეიძლება, რომ ხელისუფლებამ პიარზე იზრუნოს.

***— უცხოეთიდან ხომ არ უნდა ველოდოთ საფრთხეებს? რუსეთი მყავს მხედველობაში.***

— უკრაინაში მიმდინარე პროცესების შეფასებაში ხელისუფლების თავშეკავებულობას აქვს საფუძველი. ხელისუფლებას სჭირდება დრო იმისათვის, რომ ორიენტირებული იყოს საშინაო პრობლემებზე და არ ჰქონდეს პრობლემა რუსეთთან ურთიერთობაში. ამიტომ ვთვლი, რომ ხელისუფლების დღევანდელი მიდგომა არის სწორი, უკრაინასთან მიმართებაში ზომიერია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის, რაც უკრაინაში ხდება, არის ნორმალური მოვლენა. უმძიმესი სიტუაციაა უკრაინაში და თუ მოვლენები ასე განვითარდა, არ არის გამორიცხული, რომ ჩვენ მესამე მსოფლიო ომის წინაშე აღმოვჩნდეთ. ნელ-ნელა ხდება თვითონ ამ კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთვებიან ოფიციალურად და არაოფიციალურად ისედაც არიან იქ ისინი.

***— ქართველებს გულისხმობთ?***

— ძალიან ნიშანდობლივია ის, რომ ქართველები ორივე მხარეზე იბრძვიან. პრორუსული ძალების მხარესაც არიან და პროუკრაინული ძალების მხარესაც. საერთოდ, მოვლენები ისე ვითარდება, რომ სერიოზული კატაკლიზმების წინაშე ვდგავართ. ერაყში დღეს რაც ხდება, ეს არის მსოფლიო რუკის შეცვლის პროცესი. უკრაინაშიც იგივე პროცესები ვითარდება და ჩვენ ვართ ორივე მხრიდან შემოსაზღვრული დღევანდელი მსოფლიოსთვის ამ მნიშვნელოვანი პრობლემებით. მესამე მსოფლიო ომის საფრთხე აშკარაა, ძალიან ბევრი რამე შეიძლება შეიცვალოს. რუსეთმა პრაქტიკულად გაწყვიტა დასავლეთთან ტრადიციული ურთიერთობები, ასევე, უკრაინაში როგორ განვითარდება მოვლენები, კაცმა არ იცის. ჩვენი მეზობლები ერთმანეთზე ილესავენ კბილებს, აკვირდებიან პროცესებს, ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად დაიჭირონ მღვრიე წყალში თევზი. განსაკუთრებით ყარაბაღის პრობლემას ვგულისხმობ. რუსეთთან ურთიერთობაში ახლა სიტუაციის გამწვავება ჩვენი მხრიდან არ შეიძლება. სჯობს, პროცესების განვითარებას დაველოდოთ.

# მიხეილ სააკაშვილი: არც ერთი პოლიტიკოსი არ დაგვიჭერია, იმიტომ რომ ჩემთვის ეროვნული თანხმობა უზენაესი იყო“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მთავარი პროკურატურის მიერ მის სისხლის პასუხისგებაში მიცემას ეხმაურება და აცხადებს, რომ აღნიშნულის გამო რუსეთში ზეიმი აქვთ გამოცხადებული და ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილს ამ მითითების შესრულებას ალბათ სათანადოდ დაუფასებენ.

სააკაშვილის ამის შესახებ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

„მე ვიქნები ძალიან შორს როდესაც რუსი ოლიგარქი ივანიშვილის პროკურატურა დამიბარებს და ძალიან ახლოს როდესაც ქართველი ხალხი მომიხმობს!

მას შემდეგ რაც ვერ იპოვეს ჩემს მიერ „მითვისებული“ მილიარდები, ვინაიდან არცერთი თეთრი არასდროს არ მიმითვისებია, პირიქით, საქართველოს ბიუჯეტი თერთმეტჯერ გავზარდეთ, ასევე, ვერ დამიმტკიცეს ვერცერთი კონკრეტული დანაშაული, იმიტომ რომ დანაშაული არ ჩამიდენია და პირიქით დანაშაული თითქმის ნულამდე დავიყვანეთ, — ბოლოს, წმინდა სახის პოლიტიკური ბრალდება წამომიყენეს“-ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

ექსპრეზიდენტის თქმით, ერთი რუსი ოლიგარქი მას ბრალად, მეორე რუსი ოლიგარქის მიერ მოწყობილი არეულობების და გადატრიალების მცდელობის ჩაშლას უყენებს.

„მას შემდეგ, რაც რუსეთმა ომით ვერ შეძლო თბილისის აღება და ჩემი მთავრობის დამხობა, პუტინი და მედვედევი საჯაროდ თავს იწყნარებდნენ იმით, რომ მოვა დრო და თავად საქართველო გაასამართლებს სააკაშვილსო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ხშირად გვიწყობდა არეულობებს და მათ შორის პოლიტიკოსების ხელით, ჩვენ არცერთი პოლიტიკოსი ციხეში არ ჩაგვისვავს იმიტომ, რომ ჩემთვის ეროვნული თანხმობა იყო უზენაესი ღირებულება და ამ ღირებულებების შესანარჩუნებლად 2007 წელს მე გადავდექი, ხოლო 2012 წელს სრულიად მშვიდობიანად გადავეცით ძალაუფლება იმ ადამიანებს რომლებმაც სრულიად საპირისპიროთი გვიპასუხეს“-ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

მისივე თქმით, დღეს, მთელი დღე რუსეთში ზეიმი აქვთ გამოცხადებული და ივანიშვილს, ამ მითითების შესრულებას ალბათ სათანადოდ დაუფასებენ.

„ოღონდ, მინდა ვთქვა, რომ ორივეს, პუტინის და მისი ხელდასხმული გაზპრომის ყველაზე მსხვილი კერძო აქციონერის — ივანიშვილის სიხარულს დიდი დრო არ უწერია. მსოფლიო პროცესები ისე მიდის, რომ პუტინის საცეცები სუსტდება, ამ ოლიგარქსაც მალე მოვიშორებთ, სულ მალე საქართველო აუცილებლად გასწორდება ბოლომდე წელში და ერთხელ და სამუდამოდ გაიმარჯვებს“— ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში.

ნიუსპრესი

## ირაკლი ბათიაშვილი: კოდორის ხეობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ახალი ფაქტები იკვეთება“



პოლიტიკური პარტია ,,დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ბათიაშვილის განცხადებით, კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო პასუხისმგებლობა წინა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს ეკისრება.

როგორც მან დღევანდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნულ საქმეში ახალი ფაქტები იკვეთება, რაც აქამდე საზოგადოებისთვის უცნობი იყო.

,,იკვეთება ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო ახალი ფაქტები, რომლებიც ახალ დანაშაულებრივ ქმედებებზე მეტყველებენ. ეს ქმედებები საზოგადოებისთვის აქამდე უცნობი იყო. განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პირდაპირი პასუხისმგებლობა წინა ხელისუფლებას ეკისრება, კერძოდ კი, მიხეილ სააკაშვილს, ყოფილ თავდაცვის მინისტ ირაკლი ოქრუაშვილსა შსს-ს ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს“. —-განაცხადა ირაკლი ბათიაშვილმა.

ნიუსპრესი

## მანანა ბერიკაშვილი და ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი კულტურის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლდნენ

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეები მანანა ბერიკაშვილი და ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. მანანა ბერიკაშვილის განცხადებით, კულტურის სამინისტროს სათავეში ახალი მინისტრი ახალ გუნდთან ერთად მოდის და ამაში საგანგაშო არაფერია.

„მეც ასე მოვიქცეოდი. მას სჭირდება ის ადამიანები რომელთა პროფესიონალიზმშიც ეჭვი არ ეპარება და რომლებსაც შეუძლია დაეყრდნოს. ეს ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა“, — განაცხადა ბერიკაშვილმა.

ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკის თქმით კი, გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია გუშინ შეიტყო. კულტურის მინისტრად მიხეილ გიორგაძე რამდენიმე დღის წინ დაინიშნა.

ნიუსპრესი

## უკანონო აბორტებთან დაკავშირებით კანონი მკაცრდება

იურიდიულ კომიტეტში უკანონო აბორტებთან დაკავშირებით კანონპროექტს განიხილავენ.

სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების მიხედვით, უკანონო აბორტები 120-დან 300 საათამდე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ან ერთიდან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, დარეგისტრირებული აბორტების რაოდენობა 40 000-ს შეადგენს. მისივე ინფორმაციით, კეთდება უკანონო აბორტებიც, რომელთა რიცხვიც გაცილებით დიდია და ეს მაჩვენებელი საგანგაშოა.

ნიუსპრესი

## ირაკლი ღარიბაშვილი: ქვეყნის საბოლოო ევროპიზაციის ბედი მთავრობის წარმატებულ მუშაობაზეა დამოკიდებული“



მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომაზე კომისიის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. ასევე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმას გაეცნენ.

ეროვნული სამოქმედო გეგმა უწყებების მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზეა შედგენილი. გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო სექტორი, საქართველოს პარლამენტი და სახალხო დამცველის აპარატი მონაწილეობდა.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი, რითაც ხელისუფლებამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა აიღო.

„ჩვენ ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა და სწორედ მთავრობის წარმატებულ მუშაობაზეა დამოკიდებული ქვეყნის საბოლოო ევროპიზაციის, მისი მოდერნიზაციის ბედი. მოგიწოდებთ ყველას, რომ ეს პასუხისმგებლობა კარგად გაითავისოთ“, — მიმართა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის წევრებს.

სხდომას ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში ჩართული ყველა სამთავრობო უწყების ხელმძღვანელი დაესწრო.

ნიუსპრესი

# გელა კვაჭანტირაძე: მიხეილ სააკაშვილს, შესაძლოა, ბრალი დაუმძიმდეს“

**არ ვიზიარებ შეხედულებას, რომ ვიღაცისგან მწვანე შუქია ანთებული. არავის უნდა მწვანე შუქის ანთება, როცა სახელმწიფოში საუბარია ამ საქმეების გამოძიებაზე, რომელიც ეხება უმაღლესი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებს, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები. ეს არის პირდაპირი ვალდებულება ჩვენი სამართალდამცავი ორგანოებისა.**

თამარ ნინიძე



### ინტერვიუ პოლიტიკურ ექსპერტ გელა კვაჭანტირაძესთან

***— პროკურატურამ პასუხისგებაში გადასცა მიხეილ სააკაშვილი. მომდევნო ეტაპი საერთაშორისო ძებნის გამოცხადება იქნება. ნაციონალები ამბობენ, რომ პუტინის პირადი ანგარიშსწორებაა სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის მიმართ. შესაძლებელია, ხელისუფლებამ დაარწმუნოს დასავლელი პარტნიორები, რომ მართლაც აქვს სერიოზული სამხილები სააკაშვილის წინააღმდეგ?***

— სუბიექტური არ ვარ არც ნაცმოძრაობისა და არც ამ ხელისუფლების მიმართ. ფაქტია, რომ საზოგადოების მოთხოვნა სამართლიანობის აღდგენაზე მყარია და ითხოვს, წინა ხელისუფლებამ პასუხი აგოს იმ ქმედებებზე, რისი მომსწრე ვიყავით ცხრა წლის განმავლობაში. საუბარია ადამიანების გარდაცვალებაზე, წამებაზე, დიდი თანხების მითვისებაზე, კერძო საკუთრების წართმევასა და სხვა სახის დანაშაულზე. ეს არ არის პროკურატურის მიერ გამოგონილი პრეტენზიები. ამ ხელისუფლებას, ძალიანაც რომ უნდოდეს, სხვა არჩევანი არა აქვს. ის ვალდებულია, ეს საქმეები გამოიძიოს ყოფილი პრეზიდენტისა და მისი თანაგუნდელების მიმართ, რომ იყოს სერიოზული და ობიექტური გამოძიება. იმისათვის რომ გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორები, ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, მოიწვია რა მსოფლიოს ცნობილი სამართალწარმოების ექსპერტები. კარგია, რომ ისინი შექმნიან საკონსულტაციო ჯგუფს და ჩაერთვებიან ამ პროცესში, რომ აღარ დარჩეს კითხვის ნიშნები არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ. ქვეყნის იმიჯისთვის მნიშვნელოვანია როგორც შიგნით, ასევე გარეთ, რომ დარწმუნებული ვიყოთ გამოძიების ობიექტურობაში. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი მოვაწერეთ, მთავარი ღირებულებაა კანონის უზენაესობა და ეს მოთხოვნა მოდის როგორც ევროპიდან, ასევე შიგნით საზოგადოებისგან და ხელისუფლება ვალდებულია, ეს ინტერესი დააკმაყოფილოს. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ყოველ მომდევნო ხელისუფლებას არ გაუჩნდეს ცდუნება და სურვილი, ტენდენციურად გადააბრალოს თავისი ცოდვები წინა ხელისუფლებას. ვერაფერი მოგვარდება ქვეყანაში და ვერაფერი წინ ვერ წავა ვერც სამართალში, ვერც ეკონომიკაში, თუ ქვეყანაში, პირველ რიგში, არ შეიქმნა სამართლიანობის განცდა.

***— პროკურატურიდან მოვისმინეთ განცხადება. ყურადღება გამახვილდა შვიდი ნოემბრის ფაქტებსა და ტელეკომპანიების საქმეებზე, მაგრამ არის ასევე უამრავი სხვა საქმე. სააკაშვილის ადვოკატები თვლიან, რომ არ შეიძლება, ერთ ადამიანს შვიდი საქმის გამო იბარებდნენ დაკითხვაზე და სთხოვდნენ მას პასუხს. არის ჟვანიას საქმე, გირგვლიანის საქმე, შვიდი ნოემბერი, ტელეკომპანიები, ლაფანყურის ოპერაცია, ოცდაექვსი მაისი, მუხროვანის ამბოხი, ციხის ბუნტი, აგვისტოს ომი რუსეთთან და სხვა.***

— კიდევ უამრავი საქმის ჩამოთვლა შეიძლება. ადამიანების სიცოცხლისა და მათი უფლებების ხელყოფას შეეხება უამრავი საქმე. იურიდიულ ნიუანსებს რაც შეეხება, ერთდროულად რამდენი საქმე უნდა იყოს. საქმე შეიძლება აღიძრას ერთ სერიოზულ საქმეზე, შემდეგ ამოტივტივდეს გარემოებები და გაგრძელდეს გამოძიება. იურიდიული ნორმები დაცული უნდა იყოს. მთავარი ის არის, რომ არის კონკრეტული საქმეები, ბრალდებები და ვალდებულია ეს პიროვნება, ქვეყნის პრეზიდენტი, რომელიც არ არის რიგითი ადამიანი, ასევე მისი მინისტრები, რომ პასუხი აგონ და ჩვენება მისცენ. საუბარია ამ დანაშაულებში მთავარი შემოქმედების ბრალეულობის დადგენაზე, თორემ ამ საქმეებში უამრავი ადამიანი იყო ჩართული.

***— შვიდი ნოემბრისა და ტელეკომპანიების საქმესთან დაკავშირებით სააკაშვილს ემუქრება თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე. ფაქტია, რომ ადეიშვილი, კეზერაშვილი, უგულავა და მერაბიშვილი სააკაშვილის გარეშე არ მოქმედებდნენ. „რედისონში“ გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია, სადაც, ფაქტობრივად, მან აღიარა, რომ პირადად მისცა ბრძანება აფრასიძეების ლიკვიდაციის შესახებ. ჯამურად, ალბათ, დიდი სასჯელი შეიძლება დაეკისროს სააკაშვილს.***

— ხუთიდან რვა წლამდე — ეს მუხლი არაფერს ნიშნავს იმასთან შედარებით, რომ შეიძლება, ისეთ საქმეებზე აღიძრას საქმე, რომლებიც ბევრად უფრო მძიმე დანაშაულს შეიცავს. მთავარია, დამტკიცდეს სასამართლოზე და ბრალის წაყენება მოხდეს. სააკაშვილს რომ ეყოლებოდა თანამზრახველები ამ მინისტრების სახით, ეს ფაქტია. თუკი ეს დამტკიცდა, მაშინ საქმე გვექნება ჯგუფურ დანაშაულთან. ეს კიდევ უფრო ამძიმებს ბრალს. მოწმეები არიან და მძიმე დანაშაულებზე იქნება საუბარი სასამართლოზე.

***— მოწვეული მაღალი კლასის პროკურორები სწავლობდნენ მილოშევიჩის საქმეს, ასევე ორგანიზებული დანაშაულის საქმეებს. ალბათ, მწვანე შუქი აქვს ანთებული სააკაშვილის მიმართ საქმის აღძვრასა და მის დევნას დასავლეთისგან. როგორ წარმოგიდგენიათ სააკაშვილის ჩამოყვანა, შესაძლებელი იქნება?***

— არ ვიზიარებ შეხედულებას, რომ ვიღაცისგან მწვანე შუქია ანთებული. არავის უნდა მწვანე შუქის ანთება, როცა სახელმწიფოში საუბარია ამ საქმეების გამოძიებაზე, რომელიც ეხება უმაღლესი თანამდებობის პირების დანაშაულებრივ ქმედებებს, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგები. ეს არის პირდაპირი ვალდებულება ჩვენი სამართალდამცავი ორგანოებისა. გარდა სამართლებრივი პასუხისმგებლობისა, არის პოლიტიკური პასუხისმგებლობაც. ამის აღრევა არ უნდა მოხდეს, ამიტომაც კარგია, რომ ეს უცხოელი სპეციალისტები არიან მოწვეული. თუ საჭიროა, პირიქით, კარი უფრო ფართოდ უნდა გავხსნათ, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი ჩაერთოს ამაში. ჩვენი მიზანი შურისძიება ხომ არ არის, არამედ ის, რომ აღდგეს სიმართლე და სამართალი იყოს ქვეყანაში. ეს კარგი პროცესია, მაგრამ, ასევე, ამას არ უნდა მიეცეს უსასრულო სახე, რომ სახელმწიფო მანქანა გადაერთოს ამ გამოძიებაზე და მთელი საზოგადოება იყოს ჩართული მხოლოდ ამაში. უამრავი პრობლემა ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს. პირველხარისხოვანი ჩვენთვის არის რეფორმები და განვითარება. ასევე უნდა გავითვალისწინოთ ის, რაც იყო წინა წლებში. უსამართლობა მაქვს მხედველობაში. ადამიანების მატერიალური მდგომარეობა და დასაქმება მოუგვარებელია. ეს ცხრაწლიანი მმართველობის შედეგი და გაგრძელებაა. ამის გამოსწორება შესაძლებელია, თუმცა, მხოლოდ — სამართლიანობასთან ერთად.

***— ნაცმოძრაობის ვერტიკალს დევნიან. დასახელებული არიან კეზერაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, ადეიშვილი და ახლა უკვე სააკაშვილი. კრიზისია ნაცმოძში, შეიძლება, ის მართლაც გაქრეს პოლიტიკური რადარებიდან, ამავე დროს, სახელდება სამი პოლიტიკოსი, რომლებმაც შეიძლება იკისრონ ამ პარტიის თავმჯდომარეობა, ბოკერია, ვაშაძე და დავით ბაქრაძე. მათგან რომელს აქვს მეტი შანსი, დაიკავოს ეს პოსტი პარტიაში?***

— არსებულ სიტუაციაში არანაირი შანსი არც ერთ მათგანს არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად შეიძლება თითოეული ნიჭიერი და უნარიანია. თუ ისინი არ გაემიჯნებიან იმ უზარმაზარ დანაშაულს, რომელიც ამ რეჟიმს ჰქონდა, მაინც მათ არანაირი შანსი არა აქვთ. ეს მხოლოდ ილუზიაა, ამიტომ დღეს კი არ უნდა გაემიჯნონ, არამედ ეს ადრე უნდა გაეკეთებინათ, როცა ნახეს, რომ მათი პარტიის მოღვაწეობამ მიიღო დამახინჯებული და კრიმინალური სახე. ახლა მათი პოლიტიკური გადარჩენა გამორიცხულია, ახლა საუბარია მათ სამართლებრივ გადარჩენაზე. გაექცათ მათ ეს პროცესი და ეგონათ, რომ მართავდნენ სიტუაციას, ახლა მათ პოლიტიკურ მომავალზე საუბარი სრულიად ზედმეტია. ისე რომ მოხდეს, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ გაამართლოს ხალხის იმედები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნაციონალებს გაუჩნდებათ შანსი, ხელახლა მოვიდნენ ხელისუფლებაში და მოიგონ ხალხის გული. ეს გამორიცხულია. დღეს უნდა მიხვდნენ ამას და კრიტიკულად შეხედონ ამ ვითარებაში მათ თანაგუნდელებს. ახლა ესენი სახელმწიფო გადატრიალებას ვერ მოახდენენ, მშვიდობიანი პოლიტიკური გზა და მომავალი გამორიცხულია. ორი აზრი არ არის ამაში.

***— ნაცმოძი კონსტრუქციული ოპოზიციის შთაბეჭდილებას ვერ ახდენდა, როცა ღარიბაშვილი იყო პარლამენტში მისული. უფრო სხვაგვარი იყო მათი შემართება, არ იყო ეს საქმიანი თანამშრომლობა და შეკითხვებიც სულ სხვა იყო. როგორ შეაფასებთ მათ ქცევებს პარლამენტში?***

— ძველ სტილში მოქმედებდნენ, დემონსტრაციულად არაკონსტრუქციულად, თანაც გაუგებარია, რომ უყენებენ პრეტენზიებს ახალ ხელისუფლებას იმაში, რასაც თვითონ ჩადიოდნენ. ამაზე დიდი ცინიზმი წარმოუდგენელია. საკუთარ გაფუჭებულ საქმეებს სხვებს აბრალებენ და ცხვრის ტყავში არიან გახვეული. მორალს უკითხავენ ყველას და ამას საზოგადოება ვერ მოითმენს, არც მათთვის იქნება სასარგებლო ამგვარი განწყობა. როცა არჩევნები წააგეს, უმჯობესი იქნებოდა, ეღიარებინათ დამარცხება. სწრაფად უნდა გამიჯნოდნენ ამ დანაშაულს. მთავარი ის იყო, რას მოიმოქმედებდა მომავალში, გაემიჯნებოდა თუ ჯიუტად გააგრძელებდა ხალხის მოტყუებასა და ცინიკური განცხადებებს. როგორც ვხედავ, არათუ არ გაემიჯნნენ, თავად იყვნენ ამ უბედურებების შემოქმედნი. ასეთი სულისკვეთებით შეუძლებელია კონსტრუქციული თანამშრომლობა. იმკიან იმას, რაც დათესეს. ქვეყანაზე შეუცდომელი არავინ არის, არავის უხარია სხვისი ციხეში გამოკეტვა, მაგრამ აქ საუბარია ორგანიზებულ ჩამოყალიბებულ დანაშაულზე, რასაც დამტკიცება სჭირდება. ერთადერთ ოპოზიციას ისინი არ წარმოადგენენ. როგორ აიღეს მათ მანდატები და როგორ ჩატარდა არჩევნები, ეს ყველამ იცის. მე მიკვირს, რამხელა მოთმინება და სიბრძნე აღმოაჩნდა ახალ ხელისუფლებას, თვითონ პირადად ივანიშვილს, რომ როგორ დევნიდნენ და რას უშვრებოდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, ეს იყო საოცრება, ომი იყო, გაოცებული ვარ, როგორი მოთმინება აღმოაჩნდა ხალხს.

***— ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ შეცვალა ყველა ის მინისტრი, რომლებმაც საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება ვერ შეძლეს. საინტერესოა თქვენი აზრი, მან მოიყვანა ის მინისტრები, რომლებიც მისი უსიტყვო მორჩილები იქნებიან თუ ისინი, ვინც საქმეს კარგად გაართმევენ თავს?***

— ძნელია, შეაფასო დღეს ახალი მინისტრები, ცნობილი სახეები არ არიან. ვერ შევაფასებ. კარგია თუ ცუდი, მომავალში უნდა გამოჩნდეს. პრემიერი თუ საქმეზე პასუხისმგებლობას იღებს, საშუალება უნდა მივცეთ, საქმე გააკეთოს. ხუთი წლის შემდეგ უნდა შევაფასოთ მათი მუშაობა. იმედი ვიქონიოთ, ეს მინისტრები გაამართლებენ.

**ძნელია, შეაფასო დღეს ახალი მინისტრები, ცნობილი სახეები არ არიან. ვერ შევაფასებ. კარგია თუ ცუდი, მომავალში უნდა გამოჩნდეს. პრემიერი თუ საქმეზე პასუხისმგებლობას იღებს, საშუალება უნდა მივცეთ, საქმე გააკეთოს. ხუთი წლის შემდეგ უნდა შევაფასოთ მათი მუშაობა. იმედი ვიქონიოთ, ეს მინისტრები გაამართლებენ.**



## შალვა ნათელაშვილი ბიძინა ივანიშვილის დაკითხვას ითხოვს

„ლეიბორისტული პარტია“ ბიძინა ივანიშვილს ახალ ბრალდებებს უყენებს. შალვა ნათელაშვილის მტკიცებით, 7 ნოემბერს ჩატარებულ სადამსჯელო ოპერაციას ორგანიზებას, ყოფილ პრეზიდენტთან ერთად, ივანიშვილიც უწევდა.

პარტიის ლიდერის თქმით, საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ „ქართუ-ბანკიდან“ სპეცოპერაციის მონაწილეებზე პრემიები გაიცა.

ნათელაშვილი მოითხოვს, რომ რეზონანსული საქმის ძიების პროცესში ივანიშვილიც დაიკითხოს.

„ნოემბრის ტრაგედიას, ექს-პრეზიდენტთან ერთად, ჰყავს მეორე ორგანიზატორი მილიარდერი ივანიშვილის სახით, რომელმაც დააფინანსა, აღჭურვა და ორგანიზება გაუკეთა სპეციალურ რაზმებს 7 ნოემბერს. ჩვენ მოვითხოვთ კატეგორიულად გამოძიებისაგან, დაიკითხოს ბიძინა ივანიშვილი, როგორც დარბევის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ხოლო „ქართუ ბანკიდან“ ამოღებული იქნას ამ პერიოდში გაცემული თანხების შესახებ ყველანაირი დოკუმენტაცია“, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ნიუსპოსტი

## ალექსი პეტრიაშვილი: ამერიკელი სენატორების რჩევებს ვითვალისწინებთ“



ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრი ამერიკელი სენატორების წერილს ეხმაურება. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კანონის წინაშე ყველა იყოს თანასწორი და სამართლიანობა იყოს უზრუნველყოფილი.

„ამერიკელი სენატორების, მეგობრების, პარტნიორების რჩევებს ვითვალისწინებთ და შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კანონის წინაშე ყველა იყოს თანასწორი და სამართლიანობა იყოს უზრუნველყოფილი“, — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სენატორებმა საქართველოს პროკურატურის მიერ ექსპრეზიდენტ სააკაშვილისა და ყოფილი ხელისუფლების სხვა მაღალი თანამდებობის პირებისთვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელეს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, სენატორები შეშფოთებულები არიან, რომ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ბრალი წარუდგინა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და წინა ხელისუფლების მრავალ ლიდერს.

ნიუსპოსტი

# ნოდარ ნათაძე: ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც ერთ საქმეს ემსახურებიან!“

## „სააკაშვილს ვერ დააკავებენ“

მარიკა მჭედლიშვილი

— მიხეილ სააკაშვილს უამრავი დანაშაული აქვს ქვეყნის წინაშე ჩადენილი, თუმცა, მას ამ მუხლებით ბრალს არ წაუყენებენ. სააკაშვილის მიმართ ბრალის წაყენება მეტოქესთან ბრძოლაა! — მიიჩნევს საქართველოს სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე. მისი აზრით, სააკაშვილის ნაცმოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“ ერთისა და იმავე ქვეყნის, რუსეთის ინტერესებს ატარებენ საქართველოში, თუმცა, მათ შორის შიდა კონკურენციაა. „ახალი თაობა“ ამ საკითხებზე ნოდარ ნათაძეს ესაუბრა.

***— სააკაშვილს პროკურატურამ ბრალი წაუყენა. თქვენი აზრით, ეს სამართლიანობის დამკვიდრების მცდელობაა თუ პიარაქცია?***

— არც ერთი და არც მეორე. ეს არც პიარაქციაა და არც ნამდვილი სასამართლო. „ქართულ ოცნებას“, უბრალოდ, მეტოქის მოცილების სურვილი ამოძრავებს. რა თქმა უნდა, სააკაშვილს ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, მისი არც ერთი მთავარი დანაშაული საბრალდებო დასკვნაში არ აისახება. საბრალდებო დასკვნაში არ გამომჟღავნდება, რომ სააკაშვილი იყო რუსეთის ანუ მტრის აგენტი საქართველოში. რუსეთის ანუ მტრის აგენტია ახლანდელი ხელისუფლებაც. სააკაშვილი აქ არ ჩამოვა. მარტო იმიტომ იტყვის უარს ჩამოსვლაზე, რომ ვიღაცები დაემუქრნენ, მოგკლავთო. დაკავებით ვერც დააკავებენ. დასავლეთი მას გაუმართლებელ დაცვას უხორციელებს.

***— რით გამოიხატა სააკაშვილის აგენტობა?***

— ბევრი რამით. მე ფაქტების ნაწილს შევეხები. ჯერ ერთი, უდიდესი დანაშაული იყო ბატალიონ „მონადირეს“ განიარაღება. ასევე დანაშაული იყო დუმილი იმაზე, რომ რუსეთი იპყრობდა ცხინვალის რეგიონს. რუსეთმა ის ომი დაიწყო და მოიგო მანევრით. რუსეთმა იმ მიდამოებში შემოიყვანა დიდი რაოდენობით რეგულარული ნაწილები. გარდა მემშვიდობეებისა, რუსეთმა რეგულარული დანაყოფებიც შემოიყვანა, დაიკავა საკვანძო პოზიციები, მოახდინა ძალების კონცენტრაცია ანუ ომი ამით დაამთავრა. სააკაშვილმა ამაზე არ განაცხადა. 2008 წლის 6 აგვისტოს ომი დამთავრებული იყო. 7 აგვისტოს, 23 საათსა და 35 წუთზე, სააკაშვილს უბრძანეს ცხინვალისკენ გასროლა. სააკაშვილმა გაისროლა. ამრიგად, 8 საათის შემდეგ გააფორმებინა ომის მდგომარეობა. სააკაშვილმა რუსებს მოუწყო ომის გაპიარება. ესაა უდიდესი ღალატი. სააკაშვილმა არც იმაზე იზრუნა, რომ რუსეთის მემშვიდობეებისთვის სტატუსი ჩამოერთმია იმ დროს, როცა ისინი ცხინვალის რეგიონში ქმნიდნენ ანტიქართულ ძალას. ესეც სახელმწიფო ღალატია.

***— ერთ-ერთ ბრალდებად მას 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევას უყენებენ...***

— სააკაშვილმა მაშინ ხალხის წინააღმდეგ მხუთავი გაზი იხმარა. ის გაზი მეც შევისუნთქე. როგორ გგონიათ, რატომ გააკეთა ეს? რამდენიმე თვეში იკრიბებოდა ნატოს სამიტი. საუბარი იყო საქართველოსთვის მაპის მინიჭებაზე. სააკაშვილის უნდა მიეცა საშუალება, ჩვენთვის მაპის მოცემის მოწინააღმდეგეებისათვის საქართველოზე ცუდი განცხადებები ეკეთებინათ. ასეთ მოწინააღმდეგეებს მიეცათ საბაბი, ეთქვათ, ქართველები კაციჭამიები არიან, რა უნდათ ამათ ნატოშიო. ასეთივე მიზნებს ემსახურებოდა 2011 წლის 26 მაისს აქციის მონაწილეების სასტიკი დარბევა და დახოცვა. ეს ჟლეტა სააკაშვილმა და ბურჯანაძემ ერთად მოაწყვეს. ბურჯანაძემ მოიყვანა ხალხი იქ, სადაც არ უნდა მოეყვანა და სააკაშვილმა ეს ხალხი დახოცა. სააკაშვილის დანაშაულის ამსახველი სხვა ფაქტების მოყვანაც შეიძლება.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ ნაცმოძრაობა „ქართული ოცნების“ მეტოქეა. ასეთი ძლიერია სააკაშვილის პარტია?***

— ნაციონალური მოძრაობა „ოცნების“ მეტოქეა. ფული საკმარისი აქვს. „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა ცესკოსა და არჩევნებსაც ერთად მართავენ. ბოლო არჩევნებზე რომ ხმები განაწილდა, გგონიათ, ეს ბუნებრივი განაწილება იყო? ხალხი ნამდვილად ცოტა მივიდა. დანარჩენი იყო შეთანხმებული. სააკაშვილი და ივანიშვილი ერთად მუშაობდნენ მთელი ამ ხნის განმავლობაში.

***— ეს ორი ძალა თუ ასეთი შეხმატკბილებულია, მეტოქეობა ახლა მოუნდათ?***

— ისინი შეხმატკბილებული არიან რუსეთის ინტერესებში. ორის ბატონობა მაინც პრობლემატურია. მათ შორის კონკურენციაც არსებობს. სააკაშვილის მომხრეები პარლამენტში ორუჯრედიანები არიან. თუმცა, ამის მიუხედავად, ისინი სისტემატურად უგებენ ივანიშვილის მომხრეებს. ორუჯრედიანები უგებენ იმათ, რომლებიც, ფაქტიურად, ერთუჯრედიანები არიან. დღევანდელი საპარლამენტო უმრავლესობა კიდევ უფრო პრიმიტიულია, ვიდრე უმცირესობა.

***— თქვენ ისიც თქვით, რომ ეს უმრავლესობა ანუ ხელისუფლებაც, ნაციონალების მსგავსად, სხვა ქვეყანას ემსახურება...***

— დიახ. პარლამენტში საგარეო კომიტეტის თავმჯდომარედ დღესაც ჰყავთ თედო ჯაფარიძე. მისი განცხადებით, საქართველოს სახელმწიფომ თავისი პოლიტიკის განსაზღვრებაში უნდა შეიტანოს ერთი დებულება. ამ დებულებით, ჩვენ არ გვინდა, ვიყოთ განხეთქილების ვაშლი რუსეთსა და აშშ-ს შორის ანუ ჩვენი ტერიტორიების ხარჯზე უნდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა ამერიკასა და რუსეთს შორის. ამაზე მეტი ღალატი რა უნდა იყოს? ამ სიტყვების ავტორი ადგილზეა. ასევე ღალატია განცხადებები, რომლებიც კეთდება სხვადასხვა დონეზე. ამბობენ, რომ ჩვენ უნდა გავაუმჯობესოთ ურთიერთობა რუსეთთან, მაგრამ, არ აზუსტებენ, რომ ამის გარდაუვალი პირობაა რუსეთის გასვლა საქართველოდან და რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების ცნობის გაუქმება. ასეთი განცხადებები არის ფსიქოლოგიური მონობისა და პრაქტიკული აგენტურული მუშაობის მკაფიო მაგალითი.

***— ამ ხელისუფლების წარმატებულ პროდასავლურ ნაბიჯად ითვლება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება...***

— ამ ხელშეკრულების არგაფორმება არავის შეეძლო. ესაა მსოფლიო პოლიტიკის განვითარება, რომელსაც ვერავინ გადაახტება.

***— სამთავრობო ცვლილებებზე რას იტყვით? ზოგს მიაჩნია, რომ ეს მოსახლეობის საამებლად გაკეთდა. ზოგის აზრით, ღარიბაშვილმა გადადგა პირველი ნაბიჯი საკუთარი გუნდის ჩამოსაყალიბებლად...***

— ორივე ფაქტორი მოქმედებს. ეს ყველა უნიჭო მმართველობის ტიპური ალგორითმია — საკუთარი გუნდი უნდა მყავდეს და ხალხს ილუზია უნდა შევუქმნა, თითქოს ვიღაცას გსჯი. დადებითად შევაფასებდი ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრ დავით სერგეენკოს საქმიანობას. უარყოფითად და ქვეყნისთვის სახიფათოდ — სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილის მუშაობას. რატომ ამოიღეს სიტყვა „ინტეგრაცია“ ზაქარეიშვილის უწყების დასახელებიდან? ამ სიტყვის ამოღებაც სახელმწიფო ღალატია. ვის ჰქონდა ამ სიტყვის გაუქმების უფლება? ისინი, ვინც ამას აკეთებენ, უნიჭოდ შენიღბული შპიონები არიან.

***— რა შეიძლება მოჰყვეს დღევანდელ დაძაბულობას?***

— აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამ პარლამენტის დატოვება სახელმწიფოს სათავეში დანაშაული და თვითმკვლელობაა. ერთ კაცს აკიდებული მოვიდა ეს უბადრუკი პარლამენტი. ის ერთი კაცი ხელისუფლებიდან წავიდა. რაღა აზრი აქვს ასეთი პარლამენტის არსებობას?!



სამართალი

### პოლიციამ თაღლითური დაჯგუფების წევრები დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითური დაჯგუფების ოთხი წევრი: 1989 წელს დაბადებული ამირან ა., 1978 წელს დაბადებული მამუკა ა., 1982 წელს დაბადებული იაგო გ. და 1986 წელს დაბადებული ლევან გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულები მოქალაქეებისგან ავტომანქანებს და ავტომანქანების ძარებს ყიდულობდნენ, შემდეგ მათი გაყალბებული „ვინკოდები“ და სახელმწიფო ნომრები, იმავე მარკისა და მოდელის ავტომანქანებზე თაღლითურად გადაჰქონდათ. გაყალბებულ „ვინკოდიან“ ავტომანქანებს, სესხისა და გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, სხვადასხვა მიკროსაფინანსო ორგანიზაციასა და ბანკებში გირავნობით ტვირთავდნენ, რითიც ამ ორგანიზაციებს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი მიაყენეს. გამოძიებით დადგენილია, რომ ამ ორგანიზაციებისთვის მიყენებულმა ზიანმა 85 257 ლარი შეადგინა. გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში
გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და სამუდამოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შესაძლებელია [illegible]. შედეგი 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

### სამი არასამთავრობო ორგანიზაცია ერთობლივი პროექტის შემაჯამებელ შეხვედრას გამართავს

არასამთავრობო ორგანიზაციები — „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ (თი) და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია,“ (საია) დღეს ერთობლივი პროექტის შემაჯამებელ შეხვედრას გამართავენ.

დღეს, ასევე, კვლევის „მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი“ პრეზენტაცია გაიმართება. მედიანიუსი

### ყალბი ფულის გასაღების ბრალდებით თურქეთის მოქალაქეები დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე, თურქეთის მოქალაქეები — ფათიჰ სანჯაქთუთანი და აიჰან ფეჰლივანი დააკავეს.

უწყების პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩატარებული ოპერატიულ — სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებით დადგინდა, რომ დაკავებულებმა — ფათიჰ სანჯაქთუთანმა და აიჰან ფეჰლივანმა ერთ ერთ მოქალაქეზე 6 000 ყალბი თურქული ლირა გაასაღეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით, 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მედიანიუსი

### ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონში ცვლილება შედის

პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, დღეს მთავრობის მიერ რატიფიცირებისთვის წარდგენილი ხელშეკრულებები განიხილეს.

„საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დაფინანსების ხელშეკრულება“ და „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულება“ კომიტეტის წევრებს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, გიორგი ჯავახიშვილმა წარუდგინა.

მომხსენებლის ინფორმაციით, 92,7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სესხი კონკურენტუნარიანობის კანონის მიღებას, სურსათისცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიღებას, ვაჭრობის ხელშემწყობი სისტემების საბაჟო პროცესებთან ინტეგრირებასა და სკოლის დირექტორების შეფასების ახალი სისტემის დანერგვის ხელშეწყობას მოხმარდება.

ცვლილება შედის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც. ცვლილების თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებული წინასწარი გასაუბრებიდან, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე მოსაფიქრებელი ვადა 5 დღემდე იზრდება. გარდა ამისა, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში, აბორტი ნებადართული ხდება მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით, რომელთა ჩამონათვალსაც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ადგენს.

ცვლილება „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონშიც შედის.

მომხსენებლის, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, დიმიტრი მახათაძის ინფორმაციით, გაეროს შესაბამისი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, „ფსიქოტროპული ნივთიერებების შესახებ“ გაეროს 1971 წლის კონვენციის სიებში განხორციელებული ცვლილების მიხედვით, ნივთიერება „გამა-ოქსიერბომჟავა“ კონვენციის IV სიიდან II სიაში გადაიტანეს. ამავე სიაში ისეთი ნივთიერებებია შეტანილი, როგორიცაა ამფეტამინი, ამინეპტინი, დექსამფეტამინი, მეტამფეტამინი და ა. შ. რომლებიც „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ბრუნვისათვის შეზღუდულ ნარკოტიკულ საშუალებებს მიეკუთვნებიან, ანუ მაღალი სამედიცინო და სოციალური რისკის მქონე, საქართველოს ტერიტორიაზე სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართულ ნარკოტიკულ საშუალებებს. პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტროლის რეჟიმის თვალსაზრისით, „გამა-ოქსიერბომჟავა“ ნარკოტიკული საშუალებების II სიაში შეიტანეს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრებმა წარმოდგენილ ცვლილებებს მხარი დაუჭირეს.

ნიუსპრესი

### შსს-ს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები ეწვივნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი გოჩა რატიანი, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ოპერაციების განყოფილების უფროსს — კლაივ ტროტს და მეკავშირე ოფიცერ მარის დომინსს შეხვდა.

კლაივ ტროტს მისიის ვადა ამოეწურა და საქართველოს უახლოეს მომავალში დატოვებს. საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორმა კლაივ ტროტს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

ნიუსპრესი

### შიდა ქართლში პრობაციონერები დასაქმდნენ

შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს დახმარებით, რეგიონში სამი პრობაციონერი დასაქმდა, რომელთაგან ორმა, პროფესია, პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული გადამზადების კურსების გავლის შედეგად შეიძინა.

შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს რეკომენდაციით, ე.ს.-მ და ა.მ.-მ არასამთავრობო ორაგანიზაცია „თანხმობის“ სასწავლო ბაზაზე ხის დამუშავების ორთვიანი კურსი გაიარეს. სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ინფორმაციით, პარალელურად, პრობაციის ბიუროს ხელშეწყობით, პირობით მსჯავრდებულები სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე დარეგისტრდნენ, რომლის საშუალებითაც სტაბილური სამსახურის მოძიება გახდა შესაძლებელი.

პრობაციონერებს სამსახური ავეჯის მწარმოებელმა კომპანია „ჯეოარ პლიუსმა“ შესთავაზა, სადაც ყოველთვიურად 1000 ლარამდე გამოიმუშავებენ.

შიდა ქართლის პრობაციის ბიუროს შუამდგომლობით, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მოხდის შემდეგ, ანაზღაურებად სამუშაოზე პირობით მსჯავრდებული ა.ხ. დასაქმდა. იგი გორის კულტურისა და დასვენების პარკ „ახალბაღის“ კეთილმოწყობაზე იზრუნებს და ყოველდღიურად 12 ლარს გამოიმუშავებს.

მიმდინარე წელს უკვე 85 პირობით მსჯავრდებული დასაქმდა.

ნიუსპრესი

# ირაკლი სესიაშვილი: „პროკურატურამ თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს“

ნათია ხურცილავა



**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენაზე აცხადებს, რომ პროკურატურამ სწორი საქმეები შეარჩია. ირაკლი სესიაშვილს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, სწყინს, რომ წინა ხელისუფლებას ამდენი გააბედვინეს მოქალაქეებმა, მათ შორის თავადაც. ის ამბობს, რომ ამიტომაც ვიმკით ამ უბედურებას.**

პარლამენტის წევრი სესიაშვილი მიიჩნევს, რომ დანაშაულის სათავესთან პოლიტიკური მაფია და მიხეილ სააკაშვილი იდგა.

— ყველაფრის სათავეში იდგა პოლიტიკური მაფია და მისი ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. შესაბამისად, თუ პროკურატურას მყარი მტკიცებულებები გააჩნია, ნებისმიერ შემთხვევაში, ვინც არ უნდა იყოს ის, პასუხი უნდა აგოს. 7 ნოემბრის საქმით, „იმედის“ წართმევის საქმით, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება აბსოლუტურად ადეკვატურია. — განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

— ექსპრეზიდენტისთვის — და არა მიხეილ სააკაშვილისთვის (თუმცა ერთი მეორეს არ გამორიცხავს) ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით ვთვლი, რომ 7 ნოემბრის და იმედის წართმევის საქმით დაწყება არის აბსოლუტურად სწორი და ადეკვატური. რატომ? — იმიტომ რომ სწორედ ამ პერიოდში და ამ აქტებით სააკაშვილმა და მისმა პოლიტიკურმა მაფიამ ღიად განაცხადა, რომ ისინი იწყებენ „სახელმწიფო ტერორს (ტერორიზმს)“ (1987 წლის ჟენევის კონვენციის, ასევე გაეროს კონვენციებისა და აქტების მიერ ამ ტერმინის განმარტების ფარგლებში) იმისათვის, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება, რაც მათთვის ერთადერთი საშუალებაა თავი დააღწიონ პასუხისმგებლობას ამ პერიოდამდე მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. ეს არის დასაწყისი და, დარწმუნებული ვარ, რომ ამ პოლიტიკური მაფიის წინააღმდეგ სხვა საქმეებიც გამოჩნდება (სამწუხაროდ, იმიტომ, რომ მათ მიერ ჩადენილმა დანაშაულებმა ჩვენი ქვეყნის და მოსახლეობის კისერზე გადაიარა).

რა არის საჭირო? — 1. პროკურატურამ უნდა გამოავლინოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი, მტკიცებულებები უნდა იყოს ძალიან მყარი და არც ერთი პროცესუალური ნორმა არ უნდა დაირღვეს. ასჯერ გაზომეთ, ერთხელ გაჭერით. 2. — სასამართლო პროცესი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, მოსამართლეები დამოუკიდებელი და, რაც მთავარია, მიუკერძოებლები (იმედია, მოიძებნებიან ისეთი მოსამართლეები, რომელთაც ვინმეს მიმართ ვალი არ აქვთ). 3. — დასავლეთი ამ ყველაფერს უნდა მოეკიდოს კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით და არა პოლიტიკური მოტივებით. ეს სჭირდება ამ ქვეყანას, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ ყველას განვუცხადოთ, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას და უზენაესი სამართლიანი პრინციპების დათმობას არ ვაპირებთ. ვიცი, რომ ჩვენთვის მართლაც რომ პატივსაცემი კარლ ბილტი გააკეთებს განცხადებას, მაგრამ ყველას შევახსენებ, რომ ჩვენ, ხელისუფლება, ანგარიშვალდებული ვართ კანონის და ამ ქვეყნის მოსახლეობის წინაშე და არა მის მიმართ. ყველას, ვისაც სურვილი გაუჩნდება, ამ საქმის გამო გააკეთოს კრიტიკული განცხადება (და ეს მათი უფლებაა), პირველ რიგში, ვურჩევ, გაეცნოს საქმის მასალებს და წარმოიდგინოს, მათ ქვეყანაში უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ასეთი ქმედების გამო როგორ იმოქმედებდა მართლმსაჯულება.

დაბოლოს, არ მიხარია... არ მიხარია არავის დაჭერა... მწყინს, რომ ჩვენ ყველამ ერთად გავაბედვინეთ ამდენი წინა ხელისუფლებას და დღეს ამ უბედურებას ვიმკით ყველა ერთად. იმედი მაქვს, რომ ეს იქნება კარგი გაკვეთილი ჩვენთვისაც და ყველა შემდგომისთვისაც. — წერს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

# სოზარ სუბარი: „კანონზე მაღლა არავინ არ უნდა დავაყენოთ!“

ნათია ხურცილავა

**სოზარ სუბარი 7 ნოემბერს განვითარებულ მოვლენებს აფასებს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი იმ პერიოდს იხსენებს, როდესაც სახალხო დამცველი იყო.**

**— 7 ნოემბერი გახდა წყალგამყოფი, რომელმაც დემოკრატიის დროშით მოსული ხელისუფლება დამნაშავე რეჟიმად აქცია. — ეს განცხადება კი ყოფილმა სახალხო დამცველმა სუბარმა გუშინ გააკეთა.**



როგორც სოზარ სუბარმა ჟურნალისტებს განუცხადა, ის სრულადაა დარწმუნებული პროკურატურის ქმედების თანმიმდევრულობასა და იმაში, რომ ყველა პროცედურული ნორმა დაცულია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

— პროკურატურამ გახსნა სისტემური დანაშაული, ყველამ ვიცოდით და მით უმეტეს მე, როგორც ყოფილმა სახალხო დამცველმა, რომ ცხრა წელი — ეს იყო დანაშაულებრივი სისტემა და სისტემური დანაშაული, რომელიც პრაქტიკულად ყოველდღიურად ხდებოდა. „ტელეიმედის“ დარბევა, 7 ნოემბერს მომხდარი დარბევები რუსთაველზე და რიყეზე, ეს იყო ამ სისტემური დანაშაულების ერთგვარი აპოგეა, ყველაზე მთავარი, ყველაზე მძიმე დღე, შეიძლება, ასეც ითქვას. და ძალიან სასიხარულოა, რომ პროკურატურამ არ იჩქარა და ნაბიჯ-ნაბიჯ გამოიძია და დოკუმენტურად დადო მტკიცებულება, რომ ნამდვილად სისტემურ დანაშაულთან გვქონდა საქმე. — აცხადებს სოზარ სუბარი.

ყოფილი სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ კანონზე მაღლა არავინ უნდა დადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო არ გვექნება.

— ყველამ უნდა აგოს პასუხი კანონის წინაშე, ვისაც დანაშაული მიუძღვის. ვერავინ ვერ დადგება კანონზე მაღლა. თუ ასე მოხდება, უნდა ვიცოდეთ, რომ მეორე დღესვე სახელმწიფო აღარ გვაქვს, ხოლო თუ გვინდა, ვიყოთ დემოკრატიული, შემდგარი სამართლებრივი სახელმწიფო, მაშინ ყველამ უნდა აგოს პასუხი იმ დანაშაულზე, რომელიც ოდესმე ჩაუდენია. — განაცხადა სუბარმა.

ყოფილი სახალხო დამცველი განსაკუთრებულ ყურადღებას 2007 წლის 4 ნოემბერზე აკეთებს, როდესაც ცნობილი თათბირი გაიმართა.

— ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის განცხადებაში იყო ნახსენები 4 ნოემბრის თათბირი. ეს არის ის თემა, რომელიც მე გავაჟღერე პირველად. უფრო მეტიც, — 5 ნოემბერს მე უკვე ხელთ მქონდა 4 ნოემბრის თათბირის შესახებ დაწვრილებითი ოქმი და ინგლისურად თარგმნილი ეს დოკუმენტი უცხოეთში მაღალი თანამდებობის პირებს მივაწოდე. — იხსენებს სოზარ სუბარი.

მინისტრი ადასტურებს, რომ ვანო მერაბიშვილის კაბინეტში გამართული თათბირის ჩანაწერი მას მიაწოდეს.

როგორც სუბარმა აღნიშნა, რომელიც იმ პერიოდში სახალხო დამცველი იყო, მან გაერო-ს დაფინანსებით რიგაში დაგეგმილი შეხვედრა გადადო, რადგან აღმოჩნდა, რომ ადგილზე უფრო დიდ საფრთხესთან ჰქონდა საქმე.

— პირველ რიგში, სიტყვიერად მივიღე ეს ინფორმაცია. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატი გადავიყვანე სრულ მზადყოფნაში, რათა მონიტორინგი გაძლიერებულიყო და გვქონოდა შესაძლებლობა, რომ ყველა დარღვევა, რაც იმ დროს არსებობდა, დაფიქსირებისა და შესწავლის გარეშე არ დარჩენილიყო. 5 ნოემბერს ეს დოკუმენტი უკვე წერილობითი ფორმით არსებობდა, რომელიც სათარგმნელად იმ დღესვე გადავეცით და 8 ნოემბერს უკვე მაღალი დონის დიპლომატებს გადავეცი. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

რაც შეეხება ჟურნალისტის შეკითხვას: — რა ეწერა იმ დოკუმენტში?

სუბარი პასუხობს: — საუბარია იმაზე, თუ როგორ ჩატარდა 4 ნოემბერს თათბირი ვანო მერაბიშვილის კაბინეტში, რომელსაც ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და ძალიან ბევრი მაღალი თანამდებობის პირი ესწრებოდნენ. ასევე, როგორ მიეცათ პირდაპირი დავალება გუბერნატორებსა და მაღალი თანამდებობის პირებს, რომ უნდა დაწყებულიყო დევნა, ცემა, ნარკოტიკების ჩადება და იმ ადამიანების ქონების განადგურება, რომლებიც პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ფიგურებს წარმოადგენდნენ.

— ასე რომ, ინსინუაციები თემაზე, თითქოს რუსი ოლიგარქი გადატრიალებას ამზადებდა, მოგონილია და ეს ყველაფერი ამ დოკუმენტიდან ჩანს. ძალიან ბევრი მოწმეა, ვინც იმავე დღეს იცოდა ამ ფაქტის შესახებ და სხვა მტკიცებულებებიც არსებობს, რომლითაც ამის დამტკიცება შესაძლებელია. — განაცხადა სუბარმა.

რაც შეეხება შეკითხვას იმის შესახებ, არის თუ არა თავად სოზარ სუბარი მოწმეთა სიაში, მინისტრმა არ დააკონკრეტა და განაცხადა, რომ ეს ცნობილი მაშინ გახდება, როცა ამის საჭიროება იქნება.

სოზარ სუბარმა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენებისადმი მიძღვნილ პარლამენტის სხდომაზე საგამოძიებო კომისიის შექმნა მოითხოვა. სწორედ მაშინ განაცხადა სუბარმა, რომ ის მზად იყო დაესახელებინა მოწმეები, რომელთაც მას 4 ნოემბრის თათბირზე მიაწოდეს ინფორმაცია.

— მე, როგორც სახალხო დამცველი, ვიყავი ის ადამიანი, ვინც მოვითხოვე მაშინდელი პარლამენტისგან, რომ შემდგარიყო საგამოძიებო კომისია და მზად ვიყავი, რომ მოწმეები დამესახელებინა, რომლებიც დადებდნენ უტყუარ მტკიცებულებებს, თუ როგორ შედგა ის ავადსახსენებელი თათბირი, სადაც ვანო მერაბიშვილი პირდაპირ ითხოვდა, რომ უნდა ეცემათ ყველა და მისი სიტყვებია: ადამიანი, რომელიც არის ნაცემი, არის „ჩმორი“ და „ჩმორი“ ვერ იქნება ლიდერი ქართველ საზოგადოებაში. ეს ქართველი საზოგადოების, მაპატიეთ ტერმინისთვის, „დაჩმორება“, არ გაუვიდა სააკაშვილს და არ გაუვა არავის, ვინც უნდა მოინდომოს. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სოზარ სუბარმა გაიხსენა, რომ მან, როგორც სახალხო დამცველმა, მოკვლევა აწარმოა და ახსნა-განმარტებებიც ჩამოართვა სახალხო დამცველის ოფისმა დაზარალებულებს.

— მე, როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, მართლაც დეტალურად შევისწავლე, თუ რა ხდებოდა მაშინ, რა ხდებოდა ტელეკომპანია „იმედში“, რა ხდებოდა ქუჩაში. ასეულობით ადამიანია გამოკითხული, მათთვის ახსნა-განმარტებებია ჩამორთმეული. მათში დეტალურადაა აღწერილი ასეულობით ფაქტი. მაგალითად, როგორ ამცირებდნენ ჟურნალისტს, ქალბატონს, რომელიც იყო ცხრა თვის ფეხმძიმე და როგორ აიძულებდნენ ბუქნების გაკეთებას, შემდეგ როგორ არბენინებდნენ და როგორ აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. აღწერილია, სრულიად უკანონოდ როგორ აღუკვეთეს თავისუფლება პარლამენტის წევრებს რამდენიმე საათის განმავლობაში და როგორ აყენებდნენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ჟურნალისტებს პირდაპირ ზურგში, დამიზნებით, სრულიად შეგნებულად, სწორედ იმიტომ, რომ იცოდნენ, ისინი ჟურნალისტები იყვნენ. გვახსოვს, როგორ მოხდა „იმედისთვის“ მაუწყებლობის შეწყვეტა, ასევე სრულიად უკანონოდ გაუთიშეს მაუწყებლობა ტელეკომპანია „კავკასიასა“ და „25 არხს“. მე, როგორც სახალხო დამცველი, ვიყავი მაშინ ის ადამიანი, რომელმაც საერთაშორისო ორგანიზაციებთან ყოველდღიური კონტაქტით, მოვახერხე და რამდენიმე დღის შემდეგ ამ ტელეკომპანიებს აღუდგათ მაუწყებლობა. — აცხადებს სოზარ სუბარი.

სოზარ სუბარი აცხადებს, რომ 7 ნოემბერი არ იყო ერთჯერადი დანაშაულებრივი ფაქტი.

— პოლიტიკური შეფასებისას უმნიშვნელოვანესია, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი, უგულავა, ადეიშვილი და სხვები ამით იწყებდნენ რეალურად დაშინებული, სრულად გაკონტროლებული და არადემოკრატიული ქვეყნის შენებას. 7 ნოემბერი გახდა წყალგამყოფი, რომელმაც დემოკრატიის დროშით მოსული ხელისუფლება დამნაშავე რეჟიმად აქცია. სწორედ ამის შემდეგ გახდა მედია სრულად კონტროლირებადი, ხოლო ბიზნესი და საზოგადოება დაშინებული. როცა ვსაუბრობთ დანაშაულებრივ სისტემაზე, მრავლობით უმძიმეს დანაშაულზე, რომელთა დაშვებაც შეუძლებელია უმაღლესი თანამდებობის პირების თანხმობის, ნების და, ხშირ შემთხვევაში, მათი უშუალო ბრძანების გარეშე, სამართლებრივი პროცესი და პასუხისმგებლობის თემა მიდის სწორედ სისტემის შემქმნელებამდე. საქართველოში დადგა დრო, როცა კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

კონკრეტულად ის ბრალი, რაც წარედგინა მიხეილ სააკაშვილს, არის უაღრესად მძიმე. ასეთ დანაშაულებზე ადეკვატური რეაგირება ყველა სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყნის ვალია. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

სუბარი ამერიკელი სენატორების მიერ გაკეთებულ განცხადებაზეც აკეთებს კომენტარს, რომლებიც მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წარდგენის გამო შეშფოთებულნი არიან.

— რამდენიმე ადამიანი შეიძლება განსხვავებულად ფიქრობდეს ამერიკის სენატშიც, კონგრესშიც, მაგრამ ეს არ არის ამერიკის პოზიცია. ამერიკისა და თავისუფალი სამყაროს პოზიცია არის ერთი — როცა არის დანაშაულის ნიშნები, იქ უნდა ჩატარდეს გამოძიება, თავისუფალი, სამართლიანი სასამართლო, სხვანაირად თავისუფალი სამყარო ვერ იარსებებს და საქართველო ვერ გახდება თავისუფალი სამყაროს წევრი. ასე რომ, ჩვენ უნდა ვიაროთ იმ გზით, რაც არის კანონის მოთხოვნა და კანონის უზენაესობა. — განაცხადა სოზარ სუბარმა.

# ხუთშაბათს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებები წლიურ ანგარიშს წარადგენენ

პარლამენტის რიგგარეშე სხდომები მიმდინარე კვირაში ყოველდღიურად გაიმართება და რიგგარეშე სესია სავარაუდოდ, პარასკევს დაიხურება. აღნიშნულ საკითხებზე გუშინ გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის ინფორმაციით, ხუთშაბათს პლენარულ სხდომაზე დეპუტატები პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული უწყებების წლიურ ანგარიშებს მოისმენენ.

ყოველი რიგგარეშე სხდომის დაწყებამდე ბიურო შეიკრიბება, დღის წესრიგზე იმსჯელებს და შესაბამისი დღის პლენარული სხდომის დაწყების დროს განსაზღვრავს. დავით უსუფაშვილის განცხადებით,

სხდომები 21 საათამდე გაგრძელდება.

ნიუსპრესი

# შალვა ხაჭაპურიძე: „თუ გამოძიება სრულყოფილად წარიმართა, პასუხისმგებლობას ვერც ნიკა გვარამია გაექცევა“

ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, რომელიც მან გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში გააკეთა, „ნაციონალების“ გარდა ვერავინ იტყვის, რომ პროკურატურის მხრიდან წაყენებულ ბრალდებაში რაიმე ტყუილი წერია.

მისი ინფორმაციით, რამდენიმე „ბობოლა ნაციონალი“ ქვეყნიდან გაქცევას აპირებს.

ადვოკატი ბადრი პატარკაციშვილის საქმეზეც საუბრობს და აცხადებს, რომ გამოძიების სრულყოფილად წარმართვის შემთხვევაში, სხვა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად, პასუხისმგებლობას ვერც ყოფილი პროკურორი ნიკა გვარამია გაექცევა.

„ვიცით, როგორ წაართვეს ბადრი პატარკაციშვილს მთაწმინდის პარკი. „ნაციონალები“ კი კიდევ იყეფებიან, ეს პოლიტიკური დევნააო. მაგრამ, სამი უცხოელი პროკურორის კონსულტაციებმა საფუძველი ამასაც გამოაცალა. სხვათა შორის, პატარკაციშვილების საქმეს ძირითადად სამი შემოქმედი — სააკაშვილი, ბოკერია და ადეიშვილი ჰყავდა. მაგრამ თუ საქმის გამოძიება სრულყოფილად წავიდა, პასუხისმგებლობას ვერც ნიკა გვარამია ასცდება „,— აცხადებს ხაჭაპურიძე.

ნიუსპრესი

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლია მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები ხანგრძლივია და მყარი.
☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ისრაელის არმია მიზნის მიღწევამდე შეჩერებას არ აპირებს



ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, სამხედრო ოპერაცია ღაზას სექტორში, შესაძლოა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გაგრძელდეს. ამის შესახებ „ბიბისი“ წერს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ისრაელის არმია არ აპირებს შეჩერებას, ვიდრე არ მიაღწევს თავის მიზანს — გაანადგურებს პალესტინიდან ისრაელში გამავალ გვირაბებს, რომელსაც „ჰამასი“ მოულოდნელი თავდასხმებისთვის იყენებს.

„ჩვენ გავაგრძელებთ მოქმედებას შეგნებულად და მიზანმიმართულად, სანამ არ აღვასრულებთ ჩვენს მისიას, რომელიც საკუთარი მოქალაქეების, ჯარისკაცებისა და ბავშვების დაცვას ითვალისწინებს“. — განაცხადა ნეთანიაჰუმ.

არსებული ინფორმაციით, ღაზას სექტორში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ ისრაელის არმიამ 53 ჯარისკაცი დაკარგა, ხოლო პალესტინელებმა — 1 100 მებრძოლი.

შეგახსენებთ, ისრაელსა და „ჰამასს“ შორის ურთიერთობის გამწვავება გასულ თვეში ისრაელელი და პალესტინელი ახალგაზრდების მკვლელობას მოჰყვა. ისრაელმა ღაზას სექტორში სახმელეთო ოპერაციის დაწყების შესახებ გამოაცხადა.

„საკუთარი სამშვიდობო გეგმის წამოყენებით, ღაზას სექტორში კონფლიქტის დარეგულირებაში რუსეთს შეუძლია შუამავლის როლი შეასრულოს“, — ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ „ჰამასის“ „პოლიტიკური ბიუროს“ ხელმძღვანელის მოადგილე მუსა აბუ მარზუკმა განუცხადა.

„ცხადია, ჩვენ რუსეთს პატივს ვცემთ და ვენდობით ამ ქვეყანას. რუსეთის როლს მივესალმებით და ამერიკაზე მეტად ნდობას ვუცხადებთ“. — განაცხადა მარზუკმა.

როგორც ცნობილია, ამ დროისათვის ისრაელისა და „ჰამასის“ ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებას ამერიკა და ეგვიპტე ცდილობენ.

ამ ფონზე, ირანის უზენაესმა ლიდერმა, აიათოლა ალი ხამენეიმ ისრაელს ღაზის სექტორში „გენოციდის“ მოხდენა დასდო ბრალად და მუსლიმებს პალესტინელთა შეიარაღებისკენ მოუწოდა. 29 ივლისს, ეიდ ალ-ფიტრის დღესასწაულზე თეირანში სიტყვით გამოსვლისას ხამენეიმ თქვა, ისრაელი „ცოფიანი ძაღლივით“ და „ველური მგელივით“ იქცევაო და განაცხადა, რომ ის ღაზაში ადამიანურ კატასტროფას იწვევს.

ხამენეიმ უარყო ზავის დამყარების პერსპექტივა და განაცხადა, რომ „ჰამასი“ განიარაღების ნაცვლად უფრო მეტად უნდა შეიარაღდეს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში მათ „თავდაცვის საშუალება არ ექნებათ“. ირანი არ აღიარებს ისრაელის არსებობას და მხარს უჭერს მის წინააღმდეგ მებრძოლ პალესტინელთა ჯგუფებს.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ობამა ევროპის ოთხი ქვეყნის ლიდერს ესაუბრა



ამერიკის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ევროპელ ლიდერებთან უკრაინის კრიზისის შესახებ ისაუბრა. თეთრი სახლის ინფორმაციით, ობამა გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს, საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ დევიდ ქემერონსა და იტალიის პრემიერ-მინისტრ მატეო რენცის ესაუბრა.

გამოცემის ცნობით, აღნიშნული საუბარი მანამდე შედგა, ვიდრე აშშ და ევროკავშირი რუსეთის მიმართ სანქციებს გაამკაცრებენ. მოსალოდნელია, რომ ამერიკის სანქციები გაცილებით მკაცრი იქნება. რაც შეეხება ევროკავშირის სანქციებს, ისინი ითვალისწინებს რუსეთის წვდომის შეზღუდვას ევროპული კაპიტალის ბაზრებზე, ვაჭრობის, თავდაცვისა და ტექნოლოგიების სფეროებში.

ელისეის სასახლის მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი, ხუთი ქვეყნის ლიდერებმა დაადასტურეს თავისი გეგმები რუსეთთან მიმართებაში. მათი განცხადებით, მოსკოვს არ განუხორციელებია სათანადო ზეწოლა აღმოსავლეთ უკრაინაში მებრძოლებზე მოლაპარაკებების გასამართად. ასევე არ მიიღო ის ზომები, რასაც მისგან ელოდნენ რუსეთ-უკრაინის საზღვარზე.

„ევროკავშირის მუდმივი წარმომადგენლების კომიტეტი სანქციურ სიაში რუსეთის იმ ფიზიკური და იურიდიული პირების დამატებით შეტანას დათანხმდა, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და ამ გადაწყვეტილებებით უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას ხელყოფენ“, — განცხადება ამის შესახებ ევროკავშირის დიპლომატიის პრესსამსახურის უფროსმა მაია კონიანჩიჩმა გააკეთა.

ევროკავშირის ქვეყნების ელჩებმა ასევე მიაღწიეს შეთანხმებას შეზღუდვების დაწესების შესახებ იმ სტრუქტურების მიმართ, რომლებიც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის რღვევის პასუხისმგებელნი არიან.

კონიანჩიჩმა აღნიშნა, რომ ეს „შეზღუდვები მიმართულია იმისკენ, რომ ყირიმისა და სევასტოპოლის ზოგ სექტორში ინვესტიციები შეჩერდეს. ისინი ასევე კრძალავენ საჭირო მოწყობილობების ექსპორტს ყირიმსა და სევასტოპოლში“. მიღებული გადაწყვეტილებით, ასევე იკრძალება ვაჭრობა და ინვესტიციების განხორციელება ყირიმსა და სევასტოპოლთან.

მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისი წერილობითი პროცედურის გავლის შემდეგ შევა ძალაში და 30 ივლისს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდება.

რუსეთის წინააღმდეგ იაპონიაც ახალ სანქციებს აწესებს. „დოიჩე ველეს“ ინფორმაციით, იაპონია აპირებს ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინაში დესტაბილიზაციის გამო, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დააწესოს. იგეგმება, რომ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ყირიმის ანექსიას უჭერენ მხარს, გაეყინებათ საბანკო ანგარიშები, ყირიმში წარმოებულ საქონელზე კი აკრძალვა დაწესდება. ამის შესახებ დღეს იაპონიის მინისტრთა კაბინეტის გენერალურმა მდივანმა იოსიხიდე სუგამ განაცხადა.

იმ პირთა და ორგანიზაციათა ვინაობა, რომლების მიმართაც სანქციები დაწესდება, მას შემდეგ გამოქვეყნდება, რაც გადაწყვეტილებას მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცებს. სუგას თქმით, იაპონიის ხელისუფლების ეს ქმედება შეესაბამება იმ ნაბიჯებს, რომლებსაც ევროკავშირი და „დიდი შვიდიანის“ ქვეყნები დგამენ.

გარდა ამისა, ტოკიო აპირებს, ითანამშრომლოს ევროკავშირთან იმ გეგმის რეალიზაციის საკითხში, რაც ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის მიერ რუსეთის პროექტების დაფინანსების შეწყვეტას უკავშირდება. იაპონიის მიერ რუსეთისთვის მანამდე დაწესებული სანქციებით რუსეთის 23 მოქალაქეს იაპონიაში შესვლა ეკრძალება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# უნგრეთის პრემიერი ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის დანგრევას ცდილობს



ცნობილი ამერიკული გამოცემა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი აცხადებს, რომ მას ლიბერალური დემოკრატიის მოსპობა და „არალიბერალური“ ქვეყნის ჩამოყალიბება სურს. მისი თქმით, რუსეთი, თურქეთი და ჩინეთი წარმატებული ქვეყნები არიან და არც ერთი მათგანი არ არის ლიბერალური დემოკრატია. „ისინი დემოკრატებიც კი არ არიან“. — განაცხადა ორბანმა.

„ბლუმბერგის“ ინფორმაციით, ვიქტორ ორბანი ევროკავშირის მხრიდან მწვავე კრიტიკის ობიექტია. იგი არ სწყალობს არასამთავრობო ორგანიზაციებს და შემოიღო კანონები, რომლებიც არასამთავრობოებს უკრძალავს უცხოეთიდან ფულის მიღებას. ეს ძალიან წააგავს პუტინის რუსეთში მოქმედ კანონებს, სადაც თუ არასამთავრობო უცხოეთიდან მიიღებს დაფინანსებას, ჯაშუშად ცხადდება. ორბანმა ასევე გაათავისუფლა სახელმწიფო ინსტიტუტების ხელმძღვანელები და მათ ადგილას თავისი მოკავშირეები დანიშნა.

შეგახსენებთ, უნგრეთის პრემიერმა ამ პოსტზე მესამედ არჩევისა და პარლამენტში ფიცის დადების შემდეგ განაცხადა, რომ კარპატების რეგიონში მცხოვრებ უნგრელებს უფლება აქვთ ავტონომიასა და ორმაგ მოქალაქეობაზე. ვიქტორ ორბანმა პარლამენტში გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინას დაუთმო.

„უკრაინაში მცხოვრები 200 ათასი უნგრელის მდგომარეობა ამ საკითხს განსაკუთრებულ სიმწვავეს ანიჭებს. უნგრულმა თემმა უნდა მიიღოს ორმაგი მოქალაქეობა, ეროვნული თემის ყველა უფლებები, ასევე უნდა მიიღოს თვითმმართველობა. ეს არის ჩვენი მკაფიო მოლოდინი ახალი უკრაინისაგან, რომელიც ახლა იქმნება“. — განაცხადა ვიქტორ ორბანმა.

ამავე დროს, უნგრეთი მხარს უჭერს უკრაინის მთლიანობასა და სუვერენიტეტს. 30 მარტს უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კატეგორიულად დაგმო ადგილობრივი ნაციონალისტების მოთხოვნა იმიერკარპატების უკრაინიდან გამოყოფის თაობაზე.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# კაცი მიმავალი ავტომობილიდან გადმოხტა

ვაშინგტონის შტატის ქალაქ ფაიფის მცხოვრებმა მამაკაცმა გადაწყვიტა მიმავალი მანქანიდან იმის გამო გადამხტარიყო, რათა თავის მეგობარ გოგონასთან კამათი აღარ გაეგრძელებინა. პოლიციელი, რომელიც ინციდენტს შეესწრო, შეეცადა მანქანის მძღოლი გოგონა შეეჩერებინა.

ხანმოკლე დევნის შემდეგ გოგონა დააკავეს. მისმა თანამგზავრმა მამაკაცმა სამართალდამცავებს განუცხადა, რომ მანქანაში მასა და დაკავებულ ქალბატონს, 33 წლის ელის ფინლის შორის ურთიერთობის გარკვევა დაიწყო. გოგონამ მას შესთავაზა ერთმანეთს დაშორებოდნენ და იმის გამო, რომ კამათის გაგრძელებისა და ურთიერთბრალდებებისთვის თავი აერიდებინა, გადაწყვიტა მოძრავი მანქანიდან გადამხტარიყო. სასიყვარულო სკანდალის მოწინააღმდეგემ ასევე აღნიშნა, რომ მისი და ფინლის ურთიერთობა ცხრა თვის მანძილზე გრძელდებოდა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მანქანა დატოვა, ქალს ერთი წამითაც კი არ შეუჩერებია ავტომობილი, რათა თუნდაც მანქანის ღია კარი მიეხურა. მას პოლიციის პატრული დაედევნა, ვინაიდან მათ ეს ყოველივე უცნაურად მიიჩნიეს, მათ მძღოლს მანქანის გაჩერება უბრძანეს, მაგრამ ქალი მათ ბრძანებას არ დაემორჩილა.

როდესაც ახალგაზრდამ შენიშნა, რომ პოლიციელები მეგობარი გოგონას მანქანას გაეკიდნენ, გზაზე გადავიდა და თავად სცადა მისი შეჩერება და იმდენი მოახერხა, რომ მიმავალ მანქანას შეახტა. მისი თქმით, ამის გაკეთება იმან აიძულა, რომ მიხვდა, გოგონა არ აპირებდა პოლიციელების მოთხოვნას დამორჩილებოდა. ყმაწვილი რამდენიმე წუთის განმავლობაში ცდილობდა მანქანის შეჩერებას, იმ დროს, როდესაც ფეხები ფანჯარაში ჰქონდა გადმოკიდებული. გოგონამ მანქანა შემოაბრუნა და



იქვე მდებარე ავტოსადგომისკენ წაიყვანა, სადაც საბოლოოდ გააჩერა კიდეც ავტომობილი.

მანქანასთან მისული პოლიციელი იძულებული გახდა, გოგონა მანქანიდან ძალის გამოყენებით გადმოეყვანა. ელის ფინლის პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მცდელობის ბრალდება აქვს წაყენებული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტრახანთან რუსული სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

ასტრახანის მახლობად რუსული სამხედრო თვითმფრინავი მიგ-29 ჩამოვარდა. „რია-ნოვოსტის“ ცნობით კატასტროფის ერთ-ერთი ვერსია ტექნიკური გაუმართაობაა.

— თვითმფრინავი საცხოვრებელი ადგილებიდან 20 კილომეტრის დაშორებით ჩამოვარდა, ასე რომ არავინ დაზარალებულა, — იტყობინება „რია-ნოვოსტი“.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ნიკა თევზაძე

## უფყნ ფლტ,ტ,ბ

● იყიდება 65 კვ მ ფართის ოროთახიანი ბინა ვაჟა-ფშაველას ძეგლის გვერდით, მეტროსთან ახლოს, პრესტიჟულ ადგილას, ფასი შეთანხმებით. ტელ: 218-94-99; 599-37-58-83.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში 2000კვ.მ საკარმიდამო მიწის ხეხილიანი, დამუშავებული ნაკვეთი, სარწყავი და სასმელი წყლით. 1 კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 790-903296.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ოსტეოქონდროზის, მხედველობისა და სმენის დაქვეითების, საშწვერა ნერვის ანთების, რადიკულიტის, სახსრების, კუნთების დაავადებების, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების განკურნება სწრაფად, წამლების, აპარატურის და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. თუ მკურნალობისთვის არ ხართ მზად, არ დაგვიკავშირდეთ. ტელ: 599-97-85-46. ბ-ნი ლევანი.

# საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებს ფავორიტი გერმანიის დამარცხებამდე წამები დააკლდა

**გერმანია _ საქართველო 70:66**

(19:20, 14:22, 13:13, 24:11)

**საქართველო:** ზაქრაძე (11ქ,5პ), ლომიძე (24ქ), გუგეშაშვილი (2ქ), ისიანი (7ქ), ტურძელაძე (6ქ,8მ,4ჩ), მაჭავარიანი (5ქ,4ჩ), კუტალაძე, მასხულია (6ქ,8მ), გოგობერიშვილი, რევაზიშვილი (5ქ), ცირეკიძე

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებს შანსი ჰქონდა, ევროპის ჩემპიონატზე წაგებებით შელახული ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გაემყარებინა, მაგრამ ისევ არ გაუმართლა. არჩილ ჟღენტის გუნდი ბოლო წამებამდე ამარცხებდა გუფის ფავორიტს, მანამდე 4-დან 4 გამარჯვების მომპოვებელ გერმანიას, მაგრამ...

საქართველოს ნაკრები მთელი თამაშის მანძილზე ლიდერობდა. ქართველები არ გატყდნენ არც მაშინ, რომ გერმანელებმა საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე ლიდერობა მოიპოვეს — 61:60. მაიზერ რევაზიშვილმა, რომელსაც მანამდე ქულა არ ჰქონდა მითვლილი, ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ ორიანიც მიითვალა და საქართველო 65:61 დააწინაურა.

ქართველებს წუთნახევრის გაძლება მართებდათ, თუმცა ეს ვერ მოახერხეს. გერმანელმა ანდრეს ობსტმა სამქულიანით ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა, შემდეგ კი თავისიანები დააწინაურა კიდეც. საბოლოოდ ფავორიტმა ზედიზედ მე-5 მატჩიც მოიგო (70:66) და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირზე საკუთარი სნაიპერული თვისებები გამოავლინა დავით ლომიძემ, რომელმაც 9-დან 7 სამქულიანი, ჯამში კი 24 ქულა ჩააგდო. 11 ქულით დაასრულა მატჩი ლუკა ზაქრაძემ.

ამით საქართველომ დაასრულა ჯგუფური ეტაპი და ახლა ტურნირის ბოლო ადგილებს გაითამაშებს. ფორმატის თანახმად, ჯგუფებში 5-6 ადგილებზე გასული გუნდები (ჯამში 6 გუნდი) ორად გაიყო და ერთმანეთში 17-22 ადგილებს გაითამაშებენ. საქართველო ჯგუფში შვეიცარიასთან და ესტონეთთან მოხვდა. ქართველებს პირველ ჯგუფურ ეტაპზე ესტონელებთან განცდილი მარცხი საკვალიფიკაციოშიც გადაჰყავთ და ახლა მხოლოდ შვეიცარიას დაუპირისპირდებიან.

ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს მე-17 ადგილისთვის შეხვდებიან, მეორეზე გასულნი — მე-19 ადგილისთვის, ხოლო ბოლოზე გასულები ერთმანეთში 21-ე ადგილს გაითამაშებენ.

# ლიტვამ გაგვანადგურა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის სამზადისში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მორიგი სპარინგ-მატჩი ქალაქ პანევეჟისში გამართა. იგორ კოკოშკოვის გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ლიტვას შეხვდა და 51:82 დამარცხდა.

ქართველები ლიტველებს სოლიდური დანაკლისით დაუპირისპირდნენ. კოკოშკოვის გუნდს კვლავ აკლდა ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც 3 დღის წინ, სლოვენიასთან მატჩში ტრავმა მიიღო. ჩვენი გუნდის სერბმა მთავარმა მწვრთნელმა მატჩი ნაკრების კანდიდატთა გამოსაცდელად გამოიყენა. ლიტვასაც აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, თუმცა ამ ქვეყანას იმხელა საკალათბურთო რესურსი აქვს, რომ 3 ძირითადი მოთამაშის არყოფნა სულ არ შეეტყობა. ცნობისთვის, ბალტიისპირელებს გამოცდილი ლინას კლეიზა, ახალგაზრდა ვარსკვლავი იონას ვალანჩუნასი და რამდენიმე საშუალო მოთამაშე აკლდათ.

ქართველებმა თამაში კარგად დაიწყეს, თუმცა 5 წუთის შემდეგ, როცა ლიტველებმა სტუმართა თამაშს ალღო აუღეს, მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. შორი სროლებითა და ზუსტი გარღვევებით ლიტველებმა პირველი პერიოდის მეორე ნახევარი 13:1 მოიგეს და 21:9 დაწინაურდნენ.

მეორე ათწუთეულში ქართველებმა ის მოახერხეს, რომ მეტოქის წინსვლა აღკვეთეს. მატჩში სათადარიგოები გამოჩნდნენ, თავის გამოჩენის შანსი არაერთ ახალგაზრდას მიეცა. დიდი შესვენებისთვის ლიტვა 14 ქულას იგებდა, თუმცა ქართველებმა მესამე პერიოდის შუაწელში ჩამორჩენა 7 ქულამდე შეამცირეს — 43:50. ეს იყო და ეს, მასპინძლებმა 12:0 გაქცევა მოაწყვეს და ბოლო პერიოდს კვლავ 15-ქულიანი ლიდერობით შეეგებნენ.

ლიტველმა სათადარიგოებმა ბოლო პერიოდში ძალიან მოინდომეს და მასპინძელთა უპირატესობამ სოლიდური სახე მიიღო. ლიტველებმა გუნდურად ითამაშეს — 15 ქულაზე მეტი არავის ჩაუგდია. ეს შედეგი კი მინდაუგას კუზმინსკასმა დააფიქსირა. 13-13 ქულა რენალდას სეიბუტისმა და „ჰიუსტონ როკეტსის" წევრმა, ტონატას მოტიეუნასმა მიითვალეს.

საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი — 13 ქულა თორნიკე შენგელიამ მიითვალა. შედეგიანი იყო ზაზა ფაჩულია — 9 ქულა, 7 მოხსნა, 5 პასი. 8-8 ქულით დაასრულეს შეხვედრა გიორგი ცინცაძემ და ლევან ფაცაციამ.

საქართველო და ლიტვა ერთმანეთს 30 ივლისს კიდევ ერთხელ, ამჯერად დედაქალაქ ვილნიუსში გაეჯიბრებიან.

**იგორ კოკოშკოვმა** მატჩის შემდეგ კომენტარი ლიტვური მედიისთვის გააკეთა:

— დიდი მადლობა, რომ მოგვიწვიეთ ლიტვაში. ჩვენთვის დიდი პატივია აქ ყოფნა. ჩვენ ვეთამაშეთ ძალიან ძლიერ გუნდს. რა თქმა უნდა, არ მიმაჩნია, რომ ლიტვა იმდენად ძლიერია საქართველოზე, რომ 30 ქულით მოუგოს. ჩვენ ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ არ დავნებებულვართ. ჩვენი ნაკრები ბოლომდე იბრძვის და გპირდებით, რომ მომდევნო მატჩს უკეთესად ვითამაშებთ. ჩვენს ნაკრებს აკლდა ვიქტორ სანიკიძე, რომელსაც ტრავმა აწუხებს და ბოლო 2 შეხვედრაა, ვერ გვეხმარება. მას არ აქვს სერიოზული ტრავმა და ვფიქრობ, მალე დაგვიბრუნდება.




# ქართველმა 16-წლამდელებმა უკრაინის ნაკრები დაამარცხეს

საქართველოში საკონტროლო მატჩების გასამართად ჩამოსულია უკრაინის 16-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც დღეს, გია კაზანჯიანის გაწვრთნილი ნაკრები „დინამოს" ბაზაზე შეხვდა და 82:59 გაანადგურა.

უკრაინა სულაც არ არის ბეჩავი. სლავთა ნაკრები „ა" დივიზიონის წევრია და გასულ ზამთარში თურქეთში გამართულ წარმომადგენლობით ტურნირზე კარგადაც გამოვიდა. უკრაინელების საქართველოში ჩამოსვლა არ იგეგმებოდა. პირიქით, საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებს ჰქონდა კიევში სპარინგ-მატჩები დაგეგმილი, თუმცა უკრაინაში შექმნილი სიტუაციის გამო სლავებმა თბილისში ჩამოსვლა გადაწყვიტეს.

დღევანდელი შეხვედრა ქართველების დიდი უპირატესობით (17:3) რომ დაიწყო, ასევე გაგრძელდა და დასრულდა. კაზანჯიანის გუნდმა საკმაოდ დალაგებული, გააზრებული და სანახაობრივი თამაში აჩვენა.

16-წლამდელები ევროპის ჩემპიონატის „ბ" დივიზიონში არიან და ოფიციალურ ტურნირზე თამაში 20-30 აგვისტოს, მაკედონიაში უწევთ. კაზანჯიანის გუნდის მეტოქეები ჯგუფში მაკედონია, ისრაელი, ნორვეგია და სლოვენია არიან.

# ოლიმპიური ნაკრებების შემადგენლობა ცნობილია

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები წარადგინა.

1 აგვისტოდან ეროვნული ნაკრებები ნორვეგიის ქალაქ ტრომსოში დაგეგმილ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე მიიღებს მონაწილეობას.

ქალთა ნაკრების შემადგენლობა:

ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, ლელა ჯავახიშვილი, ნინო ბაციაშვილი.

მთავარი მწვრთნელი — ზურაბ სტურუა; კაპიტანი — ნინო გურიელი

ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა:

ბაადურ ჯობავა, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, გაიოზ ნიგალიძე, კოკა შანავა.

მთავარი მწვრთნელი — ლაშა ჯანჯღავა; კაპიტანი — ლუკა პაიჭაძე.

# თორნიკე ოქრიაშვილი ბელგიურ გენკში ითამაშებს




საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი თორნიკე ოქრიაშვილი კარიერას ბელგიურ „გენკში" გააგრძელებს. თორნიკე ერთი წლის წინაც ისინჯებოდა ბელგიურ კლუბში, მაგრამ მაშინ მისი დატოვება არ ისურვეს. სამაგიეროდ, წელს აიყვანეს და კონტრაქტი 3 წლით გაუფორმეს. პლუს ორივე მხარეს აქვს უფლება, კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაახანგრძლივოს.

— 22 წლის ქართველი დონეცკის „შახტარიდან" გადმოვიყვანეთ, ის შემოქმედებითი ტიპის ნახევარმცველია. მასთან ერთად გუნდში „გენტიდან" მოვიდა ევრე კეიჯი. ორივე მათგანს უკვე მომავალ უქმეებზე შეეძლებათ თამაში, — წერია „გენკის" ვებგვერდზე.

კომენტარი თორნიკე ოქრიაშვილმაც გააკეთა, რომელიც 49-ნომრიანი მაისურით ითამაშებს:

— „გენკი" კარგი გუნდია, ბევრი წარმატება აქვს, მომწონს ეს გუნდი. ფეხბურთელები გავიცანი, მათ შორის ჩემი მეგობარი ლუკა ზარანდიაც არის. უკვე მათთან ერთად ვვარჯიშობ. რა თქმა უნდა, მაქვს ამბიცია, რომ ძირითად შემადგენლობაში ვიყო. შევეცდები, რომ გუნდს დავეხმარო ამ ჩემპიონატში, შემდეგ ჩემპიონატში და რამდენი წელიც ვითამაშებ.

# დინამო ახალგაზრდავდება

როგორც ვწერდით, საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოში" რადიკალური ცვლილებები უნდა მომხდარიყო. კლუბი ამის შესახებ ინფორმაციას დღეს გაავრცელებს, მაგრამ კულუარულად უკვე ცნობილია, რომ კლუბის პრეზიდენტი რომან ფიფია ჩეხ მწვრთნელს, მიხალ ბილეკს შეხვდა და ესაუბრა.

შედეგად ჩეხი სპეციალისტი გუნდიდან წავიდა. სავარაუდოდ, ბილეკი იმ თანხიდან, რაც ხელფასის სახით უნდა მიეღო, კომპენსაციის სახით აუნაზღაურდება.

გუნდიდან ასევე წავიდნენ ფეხბურთელები: გიორგი ლორია, გიორგი მერებაშვილი, ოთარ მარცვალაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი, ჩისკო, რაფა ჯორდა, რაფაელ გარსია.

სავარაუდოდ, იგეგმება გუნდის გაახალგაზრდავება და ეს 19-წლამდე გუნდის ხარჯზე მოხდება, რომელმაც ახლახან გერმანიაში, „რურის თასზე" გაიმარჯვა.

გუნდის მთავარ მწვრთნელადაც 19-წლამდელთა თავკაცის, კახი გოგიჩაიშვილის დანიშვნაა მოსალოდნელი.

# ზუგდიდში საფეხბურთოდ ემზადებიან

ერთკვირიანი მოსამზადებელი შეკრების დაწყებამდე, საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდის" ხელმძღვანელობა „ბაიას" ბაზაზე გულშემატკივრებს შეხვდა. ქომაგებთან შეხვედრა გუნდის დირექტორმა, გელა ინალიშვილმა და გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ნესტორ მუმლაძემ დაგეგმეს. მოგვიანებით მათ ქალაქის მერი, ირაკლი გოგოხიაც შეუერთდა. როგორც მოსალოდნელი იყო, კლუბის ხელმძღვანელობასა და გულშემატკივართა შორის ძირითადი სასაუბრო თემა, გუნდში არსებულ ვითარებას შეეხო. ასევე, ქომაგთა მხრიდან დაისვა კითხვები, თუ როგორ მიმდინარეობს ამ ეტაპისთვის გუნდის მომზადება და რა ცვლილებებია შემადგენლობის მხრივ. გარდა ამისა იყო კითხვები, დაფინანსების საკითხზეც და გუნდის სამომავლო გეგმებზეც, რაზეც კლუბის ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს ერთი საათის განმავლობაში პასუხობდა.

**გელა ინალიშვილი:**

— სასიხარულოა, რომ თქვენთან შეხვედრა, ჩვენი დანიშვნიდან სულ რაღაც ერთ კვირაში მოხდა. გუნდში არსებული პრობლემები ისედაც ცხადია და დეტალებს არ ჩავუღრმავდები, უბრალოდ, ჩვენ გვინდა გავაჟღეროთ საკითხები — რა ცვლილებები ხდება გუნდში და სამომავლოდ რა უნდა განხორციელდეს. იცით, რომ კლუბის მესვეურთა მხრიდან აქტიური მხარდაჭერა გვაქვს და მოკლე დროში ერთად დგომით, შევეცდებით, რომ ახალ სეზონს ნორმალურად შევხვდეთ, მცირე დროის მიუხედავად, რაც არ უნდა ზედაპირულად ჩანდეს ჩემი სიტყვები. ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ გუნდის ძირითადი ამოცანა წლევანდელ სეზონზე არის უმაღლეს ლიგაში დარჩენა, მაგრამ ეტაპობრივად მთავარი ორიენტირი გუნდის მშენებლობაზე კეთდება. სასაუბრო კლუბის გარშემო ბევრად მეტი შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული რესურსების გათვალისწინებით, ამ ეტაპისთვის უპირველესი ამოცანა გუნდის გადარჩენა და შენარჩუნებაა. სამომავლოდ კი „ზუგდიდის" აღზრდილების, საკუთარ გუნდში დაბრუნება იგეგმება. კიდევ ერთხელ მინდა შევეხო მთავარი მწვრთნელის თემას — ნესტორ მუმლაძის დიდად გვეიმედება და გუნდში მიმდინარე შემადგენლობის მხრივ მიმდინარე ცვლილებებზე, სიტყვა სწორედ მას მინდა გადავცე.

**ნესტორ მუმლაძე:**

გუნდში აქტიურად დავიწყეთ მუშაობა და პირველი ამხანაგური მატჩიც ჩავატარეთ უკვე. შემადგენლობის მხრივ კი გეტყვით იმას, რომ ჩვენთან ვარჯიშობენ მეკარე რევაზ თევდორაძე, მცველები ლაშა ტუღუში და დათო ლომაია. ასევე გუნდს დაუბრუნდა თქვენთვის კარგად ნაცნობი ვაკო ტყემალაძე. ვმუშაობთ რამდენიმე ფეხბურთელის ჩამოყვანაზე და ეს პროცესიც თითქმის გადაწყვეტილია, მაგრამ გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ თამამად შემიძლია განვაცხადო თქვენ წინაშე, რომ არც ერთი მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელის მოწვევა არ იგეგმება ამ ეტაპისთვის. როგორც კლუბის დირექტორმა მოგახსენათ, ვიბრძოლებთ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად, მაგრამ მინდორზე ნებისმიერ თამაშზე ვიბრძოლებთ ბოლომდე. ჩემი მთავარი მიზანი არის, რაც შეიძლება მეტი ახალბედა ფეხბურთელი მოხვდეს ძირითად შემადგენლობაში. ადრე რომელ გუნდშიც ვიყავი, ყველგან ასე ხდებოდა და აქაც ანალოგიური იქნება. ჩვენი მიზანია ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა და, ვფიქრობთ, მივაღწევთ ამას.

***— სხვა რგოლთან ერთად იგეგმება თუ არა შეტევის ხაზის გაძლიერება, ვინაიდან ფორვარდის პრობლემა ყველგანაა.***

— გეთანხმებით, დღეისათვის ერთი გამოკვეთილი შემტევი გვყავს ლაშა კუკავა, რომელიც წელს დაუბრუნდა გუნდს. ბუნებრივია, ამ მხრივაც მიდის მუშაობა, მაგრამ განვმეორდები, ძვირადღირებული ფეხბურთელის გუნდში მოყვანა ამჟამად არ იგეგმება. გაძლიერება უდავოდ გვჭირდება, თუმცა პარალელურად ადგილობრივი კადრების მომზადებას მიექცევა უდიდესი ყურადღება. საბედნიეროდ ამის პოტენციალი ამ ქალაქში არის.

ქალაქის მერი, ირაკლი გოგოხია კიდევ ერთხელ შეეხო კლუბში არსებულ პრობლემებს, მათ შორის მერმა კლუბის დავალიანებაზეც ისაუბრა.

**ირაკლი გოგოხია:**

— არ მინდა ერთი და იგივე საკითხის გარშემო ტრიალი, მაგრამ აუცილებლად უნდა იცოდეთ ის, რომ გუნდი ქალაქის მერიამ ჩაიბარა 177.000 ლარიანი ვალით. ამის მიუხედავად, ყველაფერს გავაკეთებთ გუნდის წინსვლისთვის. მინდა შევეხო იმ თემას, რომ ამ დღეებში კლუბში არსებულ დავალიანებას აუდიტი შეისწავლის, რის შემდეგაც გავწევთ შესაბამის სამუშაოებს. დავიწყეთ აქტიური მუშაობა და კლუბის დაქვემდებარებაში უახლოეს პერიოდში უნდა გადავიდეს, რუხის ბაზა და ზედაეწერის სტადიონი, ამასთან ერთად კლუბს ოფიციალურად უნდა გადაეცეს განმუხურის სტადიონიც. ეს კი ინვესტორთა მოზიდვისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ინვესტორებთანაც უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები და ეს არ არის ლიტონი სიტყვები, რაც შეეხება ცენტრალურ სტადიონს — ველოდებით ექსპერტიზის საბოლოო დასკვნას და ახალი სტადიონის მშენებლობას ფუნდამენტი, 2015 წლის დასაწყისში ჩაეყრება. წელიწადნახევარში კი ის ექსპლუატაციაში შევა.

საფეხბურთო კლუბი „ზუგდიდი" დღეიდან ერთკვირიან შეკრებაზე გადავიდა ბაიას ბაზაზე და ხვალიდან, ფეხბურთელებს მთავარი მწვრთნელი, ორჯერადი ვარჯიშებით დატვირთავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## შედეგები

**ფეხბურთი**

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-პიასტი ................................ 1:1

**დანია. სუპერლიგა**

ბრონდბიუ-სილკებორგი ............... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-ფალკენბერგი ........................ 3:0

ჰაკენი-დიურგარდენი ................... 2:1

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

## კალეიდოსკოპი

### ტეხასელი ფუტკრებმა დანესტრეს

ჩრდილოეთ ტეხასში აფრიკულმა ფუტკრებმა ათასზე მეტი ჩხვლეტა მიაყენეს მამაკაცს, როდესაც ის გოლფ-კლუბში გოლფის მოედანს კრეჭდა. მწერებმა კიდევ ორი ადამიანი დანესტრეს, რომლებმაც სცადეს თავიანთ თანამშრომელს დახმარებოდნენ.



როდესაც გოლფ-კლუბის დანესტრილი თანამშრომლის ერთ-ერთმა კოლეგამ სცადა თავი მეზობლად მდებარე ჩოგბურთის ცენტრისთვის შეეფარებინა, ფუტკრების გუნდი მას დაედევნა, მაგრამ მან შენობაში შეღწევა მოახერხა. ამით დანარჩენმა ორმა მამაკაცმა ისარგებლა და მწერების თავდასხმის ადგილი დატოვა. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა მწერების გუნდის გაფანტვა ცეცხლმქრობების დახმარებით მოახერხეს.

აღნიშნული შემთხვევის შედეგად გოლფ-კლუბის ორი თანამშრომელი საავადმყოფოში იქნა მოთავსებული. ექიმებმა მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. მესამე მამაკაცს ექიმებმა ადგილზევე აღმოუჩინეს დახმარება და სახლში გაუშვეს.

მაშველების თქმით, როგორც ჩანს, გოლფ-კლუბის თანამშრომლების ხმაურმა გააღიზიანა ფუტკრები, რომელიც გაზონის საკრეჭი მანქანის მუშაობით იყო გამოწვეული. ამან მწერები შეაშინა და იძულებული გახადა, თავდაცვაზე ეზრუნათ. მოედანზე აღმოჩენილი კალათბურთის ბურთის სიდიდის სკებს შეუძლია 50 ათას ფუტკრამდე დაიტიოს.

ამ შემთხვევის შედეგად სპორტული ცენტრი, მის ახლოს გამავალი გზა და გოლფის მოედნის ნაწილი დახურეს. მათ თანამშრომლებს უჭირთ იმის თქმა, ფუტკრებმა ტერიტორია დატოვეს თუ ისევ ადგილზე რჩებიან.

აფრიკული ფუტკრები პატარა ზომით გამოირჩევიან, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ისინი მათი სიმშვიდის დამრღვევთ დიდ ჯგუფებად ესხმიან თავს, შესაძლოა ადამიანისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს.

### სექსზე უარის თქმის ცხრილი

ამერიკის შტატ ინდიანას მცხოვრებმა მამაკაცმა შეადგინა ცხრილი, რომელშიც ყველა ის შემთხვევაა, როდესაც მეუღლე მას სექსზე უარს ეუბნებოდა სხვადასხვა მიზეზით. მასში მოყვანილია მამაკაცის 27 მცდელობა, მეუღლესთან ინტიმური ურთიერთობა დაემყარებინა და მხოლოდ სამი მათგანი აღმოჩნდა წარმატებული. ამ მდგომარეობით უკმაყოფილო მამაკაცმა ეს ყოველივე მეუღლეს მისი მივლინებით გამგზავრების წინ გაუმხილა.

26 წლის ქალმა ცხრილი, რომელიც მას მეუღლემ გამოუგზავნა, გასართობ ვებ-გვერდზე გამოაქვეყნა. განმარტებაში მან დაწერა, რომ თავის მეუღლეს უკვე ხუთი წელია იცნობს, მათგან ბოლო ორი წელი ისინი ოფიციალურად ცოლ-ქმრად ითვლებიან. გარდა ამისა, ქალმა დააზუსტა, რომ მათი სექსუალური ცხოვრება ისეთი ინტენსიური აღარ არის, როგორც ეს ადრე იყო.

მამაკაცს მის მიერ შედგენილ ცხრილში მეუღლის მიერ უარის თქმის შემდეგი მიზეზები აქვს მოყვანილი, როგორიცაა ,,ოჰ, როგორ დავიღალე", ,,ძალიან ვარ ნასვამი და ბევრი ვჭამე", ,,არა", ,,არ მცალია, შხაპი უნდა მივიღო". ზოგიერთ შემთხვევაში კი, როგორც მამაკაცი აღნიშნავს, მეუღლემ უარი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უთხრა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მეუღლეს ცხრილი გამოუგზავნა, ქალმა მასთან დაკავშირება სცადა. მეუღლემ მის არც სმს-ს უპასუხა და არც სატელეფონო ზარებს. ქალის თქმით, აქამდე მსგავს რამეს მათ ცხოვრებაში ადგილი არ ჰქონია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## გიორგი ბერიძე ბათუმის ბულვარში იმღერებს

ეკა ირემაშვილი

ექსფაქტორელი გიორგი ბერიძე 30 ივლისს ბათუმის ბულვარში კონცერტს გამართავს. მასთან ერთად კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ მისი ძმა ნიკო ბერიძე, აჩიკო გოგიტიძე და აჩიკო ბერიძე. კვარტეტი მსმენელისთვის ქალაქურ და კლასიკურ სიმღერებთან ერთად პოპსა და როკსაც შეასრულებენ. ოთხ მომღერალს აკომპანიმენტს პიანისტი ირაკლი შარაძე გაუწევს.



როგორც გიორგი ბერიძემ „ახალ თაობას" განუცხადა, ის ამ ეტაპზე ისვენებს, თუმცა უახლოეს მომავალში ახალ პროგრამაზე დაიწყებს მუშაობას და საკონცერტო პროგრამასაც შეადგენს.

**გიორგი ბერიძე:**

— მე, ჩემი ძმა ნიკო ბერიძე, აჩიკო ბერიძე და აჩიკო გოგიტიძე ვატარებთ კონცერტს ბათუმის ბულვარში ერთ-ერთ რესტორანში. ჩვენთან ერთად ამ კონცერტში მონაწილეობს პიანისტი ირაკლი შარაძე. ეს არის სეზონური საზაფხულო კონცერტი, სადაც ველოდებით ყველას.

***— ბილეთი ძვირია?***

— 30 ლარი ღირს ბილეთი, ყველა რამდენად შეძლებს მოსვლას არ ვიცი. მთავარია ბილეთი იყიდონ და ფიზიკურად ყველა დაეტევა.

***— რას იმღერებთ?***

— ყველაფერს. ეს არის კლასიკის, როკისა და პოპის ნაჯვარი, კარგი კოქტეილივით გამოგვივიდა რეპერტუარი. უფრო პოპ-კლასიკა იქნება წარმოდგენილი, ბიჭები ცალ-ცალკე სხვადასხვა ჟანრს ვმღერით, ოპერის მომღერალიც გვყავს, ქალაქურისაც და მე და ჩემი ძმა როკს ვასრულებთ. შევიკრიბეთ, გავერთიანდით და გამოვიდა ასეთი საინტერესო საღამო. არც კი ვიცი, ამ ყველაფერს რა ჰქვია.

***— ბათუმში სეზონი ახლა გაიხსნა. კიდევ ჩაატარებთ კონცერტებს?***

— 31 ივლისსაც არის დაგეგმილი ბათუმის მუსიკალურ ცენტრში იმავე პროგრამით კონცერტი. იმედია, სეზონზე კიდევ ჩავატარებთ კონცერტებს. ჩვენ სიმღერა არასდროს გვბეზრდება და მსმენელის წინაშე წარსადგომად ყოველთვის მზად ვართ.

***— თბილისში ჩამოხვალთ?***

— თბილისში „ზაზანოვაში" ჩავატარეთ პატარა კლუბური საღამო. ეს კონცერტი უფრო ვიწრო წრისთვის იყო გათვლილი, სალონური შეხვედრა გამოგვივიდა. გვინდა, ფართო მსმენელსაც წარვუდგინოთ ჩვენი შემოქმედება. გეგმები გვაქვს, მაგრამ ჯერ არ ვამბობთ წინასწარ, ტყუილი დაპირებები რომ არ გამოვიდეს. ფართო მასებისთვისაც გვინდა ვიმღეროთ. ნიკოს მსმენელი იცნობს, აჩიკო გოგიტიძე სპექტაკლ „მარია კალასით" კიდევ უფრო პოპულარული გახდა.

***— მუშაობთ ახალ რეპერტუარზე?***

— მე და ნიკოს ცალკე თემები გვაქვს ჩვენი რეპერტუარისთვის, სოლოკარიერისთვის ვმუშაობთ. 30 ივლისს დაგეგმილი კონცერტი კი არის დიდი ხნის შემდეგ ისევ შეკრება, ბავშვობისდროინდელი მეგობრები ვართ და კვარტეტად სპეციალურად ამ ღონისძიებისთვის ჩამოვყალიბდით. ჩემს რეპერტუარს რაც შეეხება, ნამდვილად ვმუშაობ ახალ კომპოზიციებზე, ყველამ კარგად იცის, რომ როკი მიყვარს და როკს ვმღერი, ამიტომ სიახლეებიც აუცილებლად მექნება.

***— კლიპი ან ალბომი როდის გექნებათ?***

— სიმართლე რომ გითხრათ, კლიპზე არ მიფიქრია, ჯერ არც მინდა და არც ვაპირებ. უფრო სხვა რაღაცებზე ვფიქრობ, რა თქმა უნდა, მუსიკალური მიმართულებით, მაგრამ არ მიყვარს წინასწარ იმაზე ლაპარაკი, რაც ჯერ არ გამიკეთებია. ვნახოთ, რამდენად გამომივა. ამ ეტაპზე ვისვენებ და შემოდგომაზე დავიწყებ მუშაობას, ვიცი, რომ ყველაფერი ჩემზეა დამოკიდებული, ამიტომ, როგორც მოვინდომებ, ისე მექნება ყველაფერი.

***— თბილისში როდის გელოდოთ?***

— თბილისში ყოველდღე მელოდეთ, ვხუმრობ, რა თქმა უნდა. კონცერტის ჩატარებას თუ გულისხმობთ თბილისში, ჯერ პროგრამა უნდა გავაკეთოთ, მე და ჩემი მეგობარი ვმუშაობთ პროგრამაზე. მგონია, რომ არ იქნება სტანდარტული, რაც ჩაფიქრებული მაქვს, ის თუ გამომივიდა, ძალიან კარგი იქნება. არც კი ვიცი, რა დავარქვა, სახელებს ვერ ვარქმევ ვერაფერს. მიყვარს მრავალფეროვნება, ჩარჩოში მოქცევა არ მიყვარს, თავისუფლება უფრო მეტ სიამოვნებას მანიჭებს. მიყვარს სიმღერა და რა გამაჩერებს?!

## ნინოწმინდაში საღამოს ეკლესია აღდგება

ეკა ირემაშვილი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში საღამოს ეკლესიის მესამე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება და წლის ბოლომდე ეკლესიის ჩამონგრეული მინაშენიც აღდგება.

— საღამოს ტბის გასწვრივ მდებარეობს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები სამი ეკლესია მდებარეობს, ხოლო მეოთხე მაღალ მთაზეა აღმართული. 3 ეკლესიიდან ყველაზე ადრინდელი და გამორჩეულია უკიდურეს ჩრდილოეთით მდებარე X საუკუნის მოზრდილი დარბაზული ეკლესია, მისი შესასვლელი მოწყობილია შედარებით მოგვიანო ხანის სამხრეთის მინაშენიდან, რომლის ერთი მხარე შუა სვეტზე დაყრდნობილი ორი თაღითაა გახსნილი. ნაგებობა თავდაპირველად კამარით იყო გადახურული, ახლა ხის ბრტყელი სახურავი აქვს. თლილი ქვით ნაგები მეორე ეკლესიაც დარბაზულია. მიეკუთვნება XIII საუკუნეს. აქაც კამარა ხის ბანური გადახურვითაა შეცვლილი. მესამე სამხრეთის ეკლესიაც XIII საუკუნეს მიეკუთვნება. იგი თითქმის თავდაპირველი სახითაა შემონახული. მთაზე აღმართული ეკლესია განვითარებული შუა ხანებისაა. იგი ძლიერ დანგრეულია. საღამო სოფელია სამცხე-ჯავახეთის მხარის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში. ის მდებარეობს საღამოს ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სოფელ საღამოში კი 2004 წლიდან ფუნქციონირებს თამარ მეფის სახელობის დედათა მონასტერი და ეკლესია, — განმარტავენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

პირველი და მეორე ეტაპის შესრულებული სამუშაოები ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილემ პაატა გაფრინდაშვილმა მოინახულა, ის ადგილზე შეხვდა ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტს, მეუფე ნიკოლოზს და ძეგლზე მომუშავე სამუშაო ჯგუფს. შეხვედრაზე გადაწყდა მინაშენის აღდგენისთვის აუცილებელი ტექნიკური საკითხები და ის ეტაპები, რომელიც ეკლესიის სრული რეაბილიტაციისთვის უნდა განხორციელდეს.

## ქეთევან ციხელაშვილმა საჯარო დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქეთევან ციხელაშვილმა, პროექტის — ,,კოალიცია ნდობის აღდგენისათვის" ფარგლებში, საჯარო დისკუსიაში მიიღო მონაწილეობა.

პირველი საჯარო დისკუსიის თემა ,,ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ნდობის აღდგენის პერსპექტივები" იყო. ქეთევან ციხელაშვილმა კონფლიქტების მოწესრიგებასთან დაკავშირებით მთავრობის ხედვაზე, მათ შორის ევროკავშირთან თანამშრომლობაზე და იმ შესაძლო ინიციატივებზე ისაუბრა, რასაც ასოცირების შეთანხმების ფორმატი ნდობის აღდგენისა და სამშვიდობო პროცესის მიმართულებით მოიცავს. შეხვედრას, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები ესწრებოდნენ.

ნიუსპრესი

## სპორტი

### სოსო ფრუიძე: „ბურსა ნეფთჩიზე ძლიერია"

საჩხერის „ჩიხურა" ერთადერთი ქართული კლუბია, რომელიც ევროტურნირებს შემორჩა. ევროპალიგის პლეი ოფში გასვლას იმერლები ბაქოს „ნეფთჩის" ძლევით შეეცდებიან. მართალია, ეს რთული საქმეა, რადგანაც ფავორიტად მაინც აზერბაიჯანული კლუბი მიიჩნევა, მაგრამ იმედები არის. ამას ასევე ფავორიტ „ბურსას" ძლევა გვაფიქრებინებს.

„ჩიხურამ" თურქებთან შეუძლებელი შეძლო და ვნახოთ, რა იქნება „ნეფთჩისთან". ამის შესახებ „ჩიხურას" მთავარ მწვრთნელ სოსო ფრუიძეს ვესაუბრეთ.

***— როდის მიემგზავრებით აზერბაიჯანში?***

— ბაქოში 30 ივლისს, დილით გავემგზავრებით. იმავე დღეს ვივარჯიშებთ, დავისვენებთ, მეორე დღეს კი მატჩია.

***— მეტოქეს კარგად იცნობთ, ორჯერ შეკრებაზე ეთამაშეთ და წინ ეტაპის მატჩებიც „კოპერთან" გაანალიზებული გექნებათ.***

— ვერ ვიტყვი რომ „ნეფთჩი" „ბურსას" აღემატება, მაგრამ ხელწამოსაკრავი სულაც არ არის. ძირითადად, ლეგიონერები წარმართავენ თამაშს, რადგან დიდია ბრაზილიური დიასპორა. ტექნიკური, შემტევი გუნდია. ამავე დროს, ძალიან აგრესიულები და მებრძოლები არიან. მთავარია, ჩვენი თამაში ვითამაშოთ, ორთაბრძოლებში ვივარგოთ და ზონები დავკეტოთ. ვეცდებით, მოწინააღმდეგეს გარკვეული სიურპრიზიც შევთავაზოთ.

***— „ბურსასთან" გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში ხომ არ ხართ?***

— არა, ჩვენი გასაკეთებელი უკვე გავაკეთეთ, მაგრამ სადაც „ბურსა" გამოვთიშეთ, იქ აზერბაიჯანული გუნდის ძლევაც შეგვიძლია. კიდევ გავიმეორებ — „ბურსა" უფრო ძლიერი გუნდია, ვიდრე „ნეფთჩი".

***— სიურპრიზებში რა იგულისხმეთ?***

— მეტი უნდა შევუტიოთ, ვიდრე ეს „ბურსასთან" გავაკეთეთ. მჯერა, ამის საშუალება გვექნება.

***— ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?***

— გიგა ბეჭვაიამ შესაძლოა ვერ ითამაშოს. დათო ოდიკაძეს კუნთი აწუხებდა. ზოგიერთ ფეხბურთელს მიკროტრავმა აქვს. ვფიქრობთ, წავიყვანოთ თუ არა გუნდთან ერთად თორნიკე მუმლაძე. მართალია, რამე სანქცია არ მოგვსვლია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ცხენოსანი ჯარი; 2. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 3. ინდიელთა ტომის ბელადი; 4. კიბის ნაწილი ორ ბაქანს შორის მრავალსართულიან სახლებში; 5. საათის მექანიზმი; 11. დაბალი, ძლიერი დარტყმა ჩოგბურთში; 12. სინარნარე, მოხდენილობა მოძრაობაში; 14. პატარა, ღვინის ქვევრი; 16. ჩეხი კომპოზიტორი; 17. შინაგანი მისწრაფება, ბიძგი, რაც იწვევს რაიმე მოქმედების შესრულებას; 19. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 21. აეროპორტი პეკინში; 22. ლუდის სასმელი ჭიქა.

**თარაზულად:** 6. წითელი ფერის, იტალიური ტკბილი სადესერტო ღვინო; 7. მქრქალი, გამჭვირვალე ფაიფური; 8. მდინარე ბერლინში; 9. საფრანგეთის პრეზიდენტი; 10. ნეონის ნათურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 13. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. რომელიმე ერის ნაციონალური თავისებურებების მოშლა და აღრევა სხვა ხალხის ტრადიციებში; 18. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 20. მაღალხარისხოვანი, წვრილმარცვლოვანი ყავა; 21. წყალგარეული ღვინო; 23. სახელმწიფო კავკასიაში; 24. მოძრავი სკამი ნიჩბოსანთა ნავში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფიესტა; 2. ბეკინა; 3. სახარება; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. არტეკი; 11. ხამანწკა; 12. ლოსიონი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. პეპსი.

**თარაზულად:** 1. ფლებიტი; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. სტაიერი; 10. ბაჯაღლო; 13. კამბალა; 14. ზარზმა; 15. კოდა; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ნამუსი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. დეკადანსი; 2. გონდოლა; 3. ბილბაო; 4. სალდო; 5. ენესკუ; 11. ლეკალო; 12. ლაგაზი; 14. დალი; 16. რანჩერო; 17. ემბარგო; 19. რემისია; 21. ვარნა; 22. დიოდი.

**თარაზულად:** 6. სელადონი; 7. კრახუნა; 8. დაისი; 9. ადაჟიო; 10. ალილო; 13. ასადი; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. მესი; 21. ვიტესი; 23. კომპრომისი; 24. გოგენი.

# საყდრისის სკანდალური დოკუმენტი საჯაროა

ეკა ირემაშვილი

ვის სურს საყდრისის უძველესი ოქროს განადგურება? — ამ კითხვაზე პასუხი საყდრისის მცველებს აქვთ, რომლებიც უკვე თვეებია საყდრისის მიმდებარე ტერიტორიაზე არიან დაბანაკებული და მაღაროს განადგურებისაგან იცავენ.

როგორც საყდრისის მცველებმა ნინო მიქიაშვილმა, ირაკლი ლომიძემ და ირმა ინაშვილმა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, მათ საყდრისთან დაკავშირებული სკანდალური დოკუმენტი ჩაუვარდათ ხელში და მისი გასაჯაროება გადაწყვიტეს. ეს დოკუმენტი არის 2 ივლისს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში გამართული შეხვედრის ოქმი, სადაც შეხვედრის მონაწილეებმა უძველესი ოქროს მაღაროს განადგურების გეგმა დასახეს. მათივე ინფორმაციით, ამ შეხვედრაზე არც კი უმსჯელიათ საყდრისის არსებული სახით შენარჩუნებაზე. ეს არის ოფიციალური ოქმი, რომელიც ნიკოლოზ ანთიძემ კულტურის მაშინდელ მინისტრ გურამ ოდიშარიას გადაუგზავნა.

**ნინო მიქიაშვილი, საყდრისის მცველი:**

— საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გამართულ შეხვედრაზე საყდრისის უძველესი ოქროს მაღაროს განადგურების გეგმა დასახეს. ამ შეხვედრის მონაწილეები იყვნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე და ამავე უწყების ორი წარმომადგენელი პაატა გაფრინდაშვილი და მანანა ვარძელაშვილი; ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე; ქართულ-გერმანული ექსპედიციის ხელმძღვანელები ირინე ღამბაშიძე და თომას შტოლნერი; კომპანია „არემჯი გოლდის" დირექტორი სოსო ცაბაძე და ამავე კომპანიის კიდევ ერთი წარმომადგენელი; გერმანიის საელჩოდან მონიკა ლეპარდი, ასევე, საელჩოს კიდევ ერთი თანამშრომელი.

ამ შეხვედრაზე არც კი უმსჯელიათ საყდრისის არსებული სახით შენარჩუნებაზე, მონაწილეებმა თომას შტოლნერის წინადადებები განიხილეს. გკითხულობ ამონარიდს მისი ერთ-ერთი წინადადებიდან:

„საყდრისი-ყაჩაღიანის უბანზე შესაძლებელია განხორციელდეს გადარჩენითი ფართომასშტაბიანი არქეოლოგიური სამუშაოები, მათ შორის ტრი დე სკანირება, რათა შემდეგ, სრულად გასუფთავდეს არეალი სამთამადნო სამუშაოებისათვის." შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტების — პროფესორ ალბრეხტ იოკენჰოველისა და პროფესორ ვენელინ ჟელევ ჟელევის მიერ მომზადებული რეკომენდაციის ფარგლებში იმოქმედებენ და საბაზისო დოკუმენტად გამოიყენებენ თომას შტოლნერის წინადადებებს.

შეგახსენებთ, რომ იოკენჰოველი და ჟელევ ჟელევი თავიანთ ანგარიშებში მკაფიოდ მიუთითებენ იმას, რომ საყდრისი არის მსოფლიოში უძველესი ოქროს მაღარო, მაგრამ რეკომენდაციებში მის დანგრევას მწვანე შუქს უნთებენ.

ჩვენ, საყდრისის მცველები, არ დავუშვებთ საყდრისის დანგრევას. თუ ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება, შეხვედრის მონაწილეებს მოვუწოდებთ, შესაბამისი განმარტება გააკეთონ და თქვან, რომ ოფიციალურ დოკუმენტში ფაქტები დამახინჯებულადაა ასახული.

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ



მეუღლე ნუნუ ჯიშკარიანი, შვილები თამარ და ბესიკ კვაჭანტირაძეები, შვილიშვილები ნანა საჯაია, დიანა კვაჭანტირაძე, დები ნონა, დიანა, ძმა გივი კვაჭანტირაძეები, სიძე თენგიზ ფუტკარაძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვახტანგ სევასტის ძე კვაჭანტირაძე**

პანაშვიდი: 30 ივლისს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 31 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: კოჯორი, იუნკერების ქუჩა №2, სახლი 3.

---

ელგუჯა კუპატაძე, მერაბ იმნაძე, მერაბ მეხაშიშვილი, ლევან რატიანი, მიხეილ ქავთარია, ზაზა ჩიტიაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ზურაბ მაისაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

დაკრძალვა: 31 ივლისს, 14 საათზე, კოჯორში.

---

ქართულ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები იუწყებიან

**ზურაბ მაისაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

შვილები რეზო და თემურ მაჭავარიანები, დისშვილები დოდო დევდარიანი, ლალი კოსტავა ოჯახებით, მაზლიშვილები ნელი, ლალი მაჭავარიანები იუწყებიან

**ლილი ვასილის ასულ ქეიშვილი-მაჭავარიანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 29, 30 ივლისს.

დაკრძალვა: 31 ივლისს, 15 საათზე.

მისამართი: ირაკლი აბაშიძის 31.

---

**ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლჩ,ჩ,ბ ვბბქჩ,ფ .ჯდჩკლქჩ7**
**რდბჰბც უფვლფ7!@-ლფყ!& ცფფსფვლჩ8**

# თამთა ცხვიტავა ქველმოქმედებისთვის იმღერებს

ეკა ირემაშვილი

მომღერალი თამთა ცხვიტავა, რომელიც ქართულ შოუბიზნესისთვის „ბრავო რექორდსმა" აღმოაჩინა, ქველმოქმედებისთვის იმღერებს. 30 ივლისს ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრში გაიმართება ფესტივალ „პოემუსის" საქველმოქმედო აქცია 11 წლის ნანიკო ტორონჯაძის დასახმარებლად, რომელსაც ავთვისებიანი იუნგის სარკომა აქვს და ოპერაცია ესაჭიროება.



თამთა ცხვიტავასთან ერთად საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, ტელეწამყვანები, მათ შორის, პაატა დეისაძე, ქეთი გაბისიანი, ზაალ ჩიქობავა, ნატალია სულხანიშვილი, თეატრალურის კვარტეტი, აჩიკო ნიჟარაძე, ნატო გაგნიძე, დიმიტრი ტატიშვილი, ვალერი კორშია, გიორგი მეფისაშვილი, ნინია მეტრეველი, გიორგი მახარაშვილი, ნათი მაღლაკელიძე, მაია ქარსელაძე, ნაირა გელაძე, გიორგი შალამბერიძე, მარიკა სამანიშვილი, დათო როინიშვილი, დათო გაჩეჩილაძე. საღამოს წამყვანები ნინა თარხან-მოურავი და ბექა ელბაქიძე იქნებიან. საქველმოქმედო საღამო ელენე რამიშვილის, გიორგი ქუცა რუხაძის, ანი ქერაშვილის, ეკა მიქელაძის, თამარ სალუქვაძის და ბიჭი ივანიშვილის ორგანიზებით ტარდება. მარათონის განმავლობაში ჩართული იქნება სპეციალური ნომერი 09 01 080 806. შემოსული თანხა ჩაირიცხება დიმიტრი ცინცაძის ფონდში 11 წლის ნანიკო ტორონჯაძის გადასარჩენად.

ფესტივალი „პოემუსი" ქუთაისში გამგზავრებამდე არასრულწლოვანთა №11 სარეაბილიტაციო დაწესებულებას ესტუმრა და აქცია-კონცერტი გამართა. ღონისძიებაში „პოემუსის" წევრი მომღერლები, პოეტები და მსახიობები მონაწილეობდნენ. კონცერტის დაწყებამდე დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი ჯონი კვინიკაძე არასრულწლოვან მსჯავრდებულებს პირადად შეხვდა. მათ მიაწოდა ინფორმაცია იმ პროგრამებისა და სერვისების შესახებ, რომლებსაც დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს. არასრულწლოვნებს სხეულიდან ტატუს მოშორების პროგრამაში მონაწილეობაც შესთავაზეს. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების იმ დაღისაგან გათავისუფლება, რომელიც მათ მომავალში ციხეში ყოფნის პერიოდს გაახსენებთ. აქცია-კონცერტი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მხარდაჭერით გაიმართა. არასრულწლოვნები ორგანიზატორებისგან სიმბოლური საჩუქრებითაც დასაჩუქრდნენ. რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ინიციატივით 2012 წელს ამოქმედდა. მას დანაშაულის პრევენციის ცენტრი ახორციელებს. პროგრამის მიზანია როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, ისე გათავისუფლებამდე მათი მხარდაჭერა, რაც კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებს ითვალისწინებს.

ფესტივალი „პოემუსი" გეგმავს აქციას 11 წლის გიორგი ჯიშკარიანის დასახმარებლადაც. მას 30.000 ევრო აქვს კლინიკის ანგარიშზე და ვერ მიდის გერმანიაში, რადგან გამგზავრების და იქ გამოკვლევებისას საცხოვრებელი ხარჯები 10.000 ევროს აღწევს. პირველ ეტაპზე 5.000 საკმარისია, რომ გაემგზავროს. ასევე აუცილებელია მისი მამის გამგზავრება კვლევებისათვის, რომ გიორგის საბოლოო დიაგნოზი დაუდგინონ. ბავშვის მდგომარეობა უარესდება. უნდა მოესწროს მისი გაშვება მანამ, სანამ გიორგის მგზავრობა შეუძლია. თუ ბავშვის მდგომარეობა დამძიმდა, გადაყვანის ხარჯები მინიმუმ 20.000 ევროთი გაიზრდება. ამ ოჯახმა უკვე ორი შვილი დაკარგა და ახლა მესამე შვილის გადასარჩენად იბრძვის.

# ვარდების ბაღში მეგობრობის დღე აღინიშნება

ეკა ირემაშვილი

30 ივლისი მეგობრობის საერთაშორისო დღეა. 2011 წლის 27 აპრილს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 65-ე სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება ყოველი წლის 30 ივლისს „მეგობრობის საერთაშორისო დღის" აღნიშვნასთან დაკავშირებით. ამ დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა სახის ღონისძიებებით აღნიშნავენ. ამ დღეს ჩვენი მრავალეროვანი ქალაქი პირველად შარშან შეუერთდა, როდესაც თბილისში მეგობრობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის მიერ ორგანიზებული „მეგობრობის კვირეული" გაიმართა და მასში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შემოქმედებითი ჯგუფები მონაწილეობდნენ.

— წელს, 30 ივლისს, მეგობრობის საერთაშორისო დღე ვარდების ბაღში აღინიშნება. ღია კინოთეატრ „გრინემაში" თვითნასწავლი მხატვარი ნონა გიუნაშვილი, რომელიც ყველას ახსოვს სატელევიზიო შოუდან „ნიჭიერი", მეგობრობის დღეს მიუძღვნის თავისი შემოქმედების 40-წუთიან ფრაგმენტს და მაყურებლის თვალწინ შექმნის ქვიშაზე სხვადასხვა შინაარსის ნამუშევრებს. ქვიშაზე ხატვის სანახაობის შემდეგ ღია კინოთეატრი „გრინემა" ასევე თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის დაფინანსებით წარმოგიდგენთ ზაზა რუსაძის ფილმს „ჩემი საბნის ნაკეცი". ღონისძიებებზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია. — აცხადებენ კულტურული ღონისძიებების ცენტრში.

# ბერლინში საქართველოს კულტურის დღეები გაიმართება

ეკა ირემაშვილი

31 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით ბერლინში საქართველოს კულტურის დღეები სახელწოდებით „სუფრა" გაიმართება. ღონისძიებებს ბერლინის ევროპული კულტურების მუზეუმი უმასპინძლებს. პროექტის მხარდამჭერი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და საქართველოს ეროვნული მუზეუმია. ბერლინის მუზეუმში ოქტომბრის ჩათვლით გამოიფინება ერმაკოვის ფოტოები და ღვინის თემატიკასთან დაკავშირებული 29 ისტორიული ნივთი. სულ დაგეგმილია 11 ღონისძიება, მათ შორის, გამოფენები, კონცერტები, კინოჩვენებები და მოხსენებები სხვადასხვა თემაზე.

31 ივლისს ქართული კულტურის დღეებს ბერლინში ანსამბლი „შინ" გახსნის, მიწვეულ საზოგადოებას მიესალმებიან ბერლინის მუზეუმის დირექტორი ელიზაბეტ ტიტმაიერი, საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში ლადო ჭანტურია და ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე. დასასრულს ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია მოეწყობა.

2 აგვისტოს საღამო აფხაზეთის კულტურას მიეძღვნება, წარმოდგენილი იქნება ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა გაგრა", კლასიკური ნაწარმოებებისა და ჯაზ-კომპოზიციების თანხლებით. ბერლინში არსებული აფხაზური რესტორანი გამართავს აფხაზური კერძების დეგუსტაციას.

7 აგვისტოს დამსწრე საზოგადოებისთვის მოხსენებას წაიკითხავს საქართველოს ღვინის კლუბის პრეზიდენტი მალხაზ ხარბედია. მოწვეული სტუმრები ქართულ ღვინოს დააგემოვნებენ, ასევე წარმოდგენილი იქნება მოქანდაკე ბესიკ მაზიაშვილის მიერ ბერლინში დამზადებული ქართული ქვევრები. საღამო ქართული ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართება.

9 აგვისტოს „ჯორჯიან სიმფონიეტა" და დუდანა მაზმანიშვილი ერთობლივ კონცერტს გამართავენ, სადაც მოცარტის კონცერტი №12 შესრულდება.

14 აგვისტოს დაგეგმილია გერმანელი მეცნიერის მანფრედ ნავროტის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ქართულ-გერმანულ ურთიერთობებს შეეხება.

16 აგვისტოს მოწვეული სტუმრები ქართული კულინარიის ისტორიის შესახებ რუსუდან გორგილაძის მიერ შექმნილ წიგნს გაეცნობიან. წიგნის სახელწოდებაა „კერძთაყვანისცემა".

19 აგვისტოს ბერლინის კულტურათა მუზეუმი კავკასიის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების შესახებ ღია დისკუსიას უმასპინძლებს და განიხილავს ახალგაზრდების როლს კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხში. ღონისძიების ორგანიზატორია აღმოსავლეთი ევროპის კულტურული ფორუმი.

21 აგვისტოს გერმანელი ფოტოგრაფის როლფ შრადეს გამოფენა მოეწყობა, სადაც ასევე წარმოდგენილი იქნება მოხსენება სვანური ხატწერის შესახებ.

23 აგვისტოს გაიმართება შეხვედრა დასავლეთში მოღვაწე აღიარებულ ქართველ მწერალ ნინო ხარატიშვილთან და მისივე ახალი რომანის პრეზენტაცია.

28 აგვისტოს მუზეუმი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრთან არსებულ ანსამბლ „სულიკოს" კონცერტს უმასპინძლებს. გერმანიაში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის სახელით ოფიციალური მიღება გაიმართება, რომელსაც გერმანიაში მოღვაწე დიპლომატიური კორპუსის წევრები დაესწრებიან.

30 აგვისტოს ქართული კულტურის დღეები ბერლინში აჭარის ფოლკლორული ანსამბლის კონცერტით დაიხურება. წარმოჩენილი იქნება ქართული სუფრის ტრადიცია და კულტურა.

# TV პროგრამა

## ოთხშაბათი 30 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.30** "გურმანია" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"დეტექტივი" 17.00** ტ/სერ. **"ჭორიკანა" 18.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"- ცხოვრების აზრი" **19.15** "ჩვენი ეზო" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: I სტუდია **23.00** მხ/ფ **"ვატელი"** (ჟ. დეპარდიე) **03.00** "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ)

**08.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **10.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი"** 8-სერ. **11.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" II ნაწ. **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) **19.00, 22.00** ტ/სერ. **"ნიკოლა ლე ფლოკი" 10-11** სერ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ **"გორილას განკურნება"**

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.20, 16.50** SV - მარკეტი **11.30** სერ. **"შურისმაძიებელი" 12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა" 17.45** სერ. **"მინდა გახსოვდე" 18.50, 19.03** სერ. **"ბამბის ველი" 21.00** სერ. **"შავი ვარდი" 22.00** სერ. **"20 წუთი"** 3 სერ. **23.00** სერ. **"კენედები"** 2 სერ. **00.00** მხ/ფ **"ჰენრის დანაშაული"** (ვ.ფარმიგა) **01.55** მხ/ფ **"სიყვარულის დღესასწაული"** (ს.ბლერი)

**06.30** სერ. **"არ დამივიწყო" 07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"მათრობელა სიყვარული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"ეზელი" 18.45** სერ. **"სტამბოლის ცა" 19.45** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** "ნანუკას შოუ" - დასკვნითი **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.)

**08.00** GDI დილა **10.00, 19.00 სერიალი "ლენა" 11.00** TOP 10 **12.00, 14.00, 20.00** URBAN STORIES **12.20** SONG STORY **13.00** სტილის სამყარო **13.30** მისტერ ამიკო **14.45, 16.30, 17.30, 20.30** მინიპედია **15.00** ლეგენდა **15.50, 16.45, 17.45, 20.45, 21.45** ქვიშის ზღაპრები **16.00** დ/ფ "მსოფლიო ზემოდან" **17.00** ტყუილის გარეშე **18.00** დ/ფ **20.00** კიბერპაუსი **21.00** ბინა 18 **22.00** მხ/ფ **00.20** მუსიკა

**06.10** საგალობელი **06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ **"გაზაფხული გადის" 08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** რრ **"მჭედელი" 13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** კონცერტი - მერი დავითაშვილი **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ტელეზღაპარი **15.20** დ/ფ "მეტეორა" **15.30** დ/ფ "ლაზეთის ბულბული" **16.50** კფვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ **"ვედრება" 20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "აკაკი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ **"ფატიმა"**

მაესტრო **7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.15, 1.20** "უცნობი ისტორიები" **8.40, 22.00, 1.40** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** მაესტრო **9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00** ახალი ამბები **9.30** "თქვენი გადახდილია"(ანეკდოტები) **10.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 11.03 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30** SV **11** მაესტროზე (იუმორისტული გადაცემა) **13.03, 14.03 სერიალი "ასი" 15.40, 16.03, 17.03 სერიალი "1001 ღამე" 18.40, 19.03 სერიალი "თანაგრძნობა" 20.03 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი"(საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა) პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 სერიალი "მომავლის გაელვება" 0.30** ბრძოლა წესების გარეშე (სპორტული შოუ) **2.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **2.20** მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება"(გამ)

**გჰჯუჰფვტ,ბ**
**ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ**
**ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 ივლისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1.7526

ევრო — 2.3571

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9752

100 რუსული რუბლი — 4.9998

## ამინდის პროგნოზი 30 ივლისისთვის




## კალეიდოსკოპი

### ნუცა ბუზალაძეს 18-კარატიანი ოქროს სამაჯური აჩუქეს



საერთაშორისო მუსიკალური კონკურსის „ახალი ტალღა 2014“-ის გამარჯვებულს ნუცა ბუზალაძეს პირველადგილოსანის ტიტულსა და მოგებულ 50.000 ევროსთან ერთად 18-კარატიანი ოქროს სამაჯური აჩუქეს.

სამკაული შავი ბრილიანტებითაა გაწყობილი, რომელიც გერმანულმა საიუველირო ბრენდმა სპეციალურად კონკურსის გამარჯვებულისთვის დაამზადა. საჩუქარი ნუცა ბუზალაძეს ამავე ბრენდის წარმომადგენელმა ფარიდ ასრიმ გადასცა.

— ეს სამაჯური საგანგებოდ „ახალი ტალღის“ წლევანდელი გამარჯვებულისთვის შეიქმნა, — განაცხადა ფარიდ ასლიმ.

თავის მხრივ, ნუცამ პირობა დადო, რომ ყოველდღე ატარებდა ამ ძვირფას საიუველირო ნაკეთობას. ნუცა ბუზალაძემ წლევანდელი „ახალი ტალღა“ სრული ტრიუმფით მოიგო. იგი სამივე ტურში პირველ ადგილს იკავებდა და ლიდერობას არავის უთმობდა. მისი პროდიუსერები კონკურსზე მამულიჩა და ლელა წურწუმია იყვნენ.

ეკა ირემაშვილი

### შვიდი წლის ბავშვმა ველოსიპედით იმოგზაურა

შვიდი წლის ედვინ ბლომდალმა თავის მშობლებთან ერთად 370 კილომეტრი გაიარა ველოსიპედით. სწორედ ეს მანძილი აშორებს ერთმანეთს შვედურ ქალაქ კალმარს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინს. ბლომდალების ოჯახს თავდაპირველად ამ მოგზაურობაზე ერთი კვირა ჰქონდა დაგეგმილი, თუმცა ოთხ დღეში ჩაეტივნენ. მოგზაურობის დროს ბავშვი ბლოგში საკუთარ შთაბეჭდილებებს აქვეყნებდა.

ბავშვის მშობლები ვარაუდობდნენ, რომ მათ ხშირად მოუწევდათ შესვენება, მაგრამ მოგზაურობის პირველივე დღეს მათ 103 კილომეტრის გავლა მოახერხეს. დანარჩენი სამი დღის მანძილზე ისინი ასევე დღეში საშუალოდ 100 კილომეტრს გადიოდნენ.

ამ ველომოგზაურობაში ასევე მონაწილეობას იღებდა სამი წლის ემა ბლომდალი, რომელიც დედის ველოსიპედის უკანა სკამზე იყო მოკალათებული. მშობლებს იმედი აქვთ, რომ მათ მომავალ მოგზაურობაში ემა უკვე საკუთარი ველოსიპედით შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

ედვინ ბლომდალმა ველოსიპედით სიარული სამწლინახევრის ასაკიდან დაიწყო. მას აქვს საკუთარი გვერდი, სადაც საკუთარ შთაბეჭდილებებს და მოგზაურობის ამსახველ ფოტოსურათებს აქვეყნებს.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ნინო მაჩაიძე და ნინო სურგულაძე ყველაზე ლამაზ ოპერის მომღერალთა ათეულში მოხვდნენ

ეკა ირემაშვილი

ქართველი საოპერო მომღერლები ნინო მაჩაიძე და ნინო სურგულაძე მსოფლიოში ყველაზე ლამაზ ოპერის მომღერალთა ათეულში მოხვდნენ. როგორც უცხოური მედია წერს, ათეულში მომღერლები არა მარტო სილამაზის, არამედ მათი უდიდესი ტალანტის გამოც მოხვდნენ.



ათეულში პირველ ადგილს ქართველი სოპრანო ნინო მაჩაიძე იკავებს. ის რჩეულთა შორის არა მარტო სილამაზის, არამედ პიროვნული თვისებებისა და შარმის გამოც მოხვდა. ნინო მაჩაიძე მსოფლიოს წამყვან საოპერო სცენებზე ასრულებს ნაწარმოებებს. მას უნიკალური სტილი, შესრულების ტექნიკა და ვოკალური დიაპაზონი აქვს, რომლითაც შეუძლია, მსოფლიო გააოცოს.

ათეულში მეორე ადგილზეა იტალიელი სოპრანო კარმენ ჯანატაზიო, რომელიც თავისი ლამაზი ვოკალური შესრულებით მსოფლიოშია აღიარებული.



მესამეადგილოსანია ლატვიელი სოპრანო კრისტინე ოპოლაი. მისი დებიუტი ნიუ იორკში „მეტროპოლიტან ოპერა ჰაუსში“ შედგა. მომღერალმა თავისი საოცარი შესრულებით არა მხოლოდ დამსწრე საზოგადოება, არამედ ის მილიონობით მაყურებელიც გააოცა, რომელიც მის გამოსვლას პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს.

ათეულში მეოთხე ადგილს იკავებს წარმოშობით რუსი სოპრანო ოლგა პერეტიატკო. იგი XXI საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი საოპერო მომღერალია.

მეხუთეადგილოსანია ამერიკელი სოპრანო აილინ პერეზი. მას საოპერო მუსიკის მოყვარულები მოიხსენიებენ, როგორც ყველაზე მიმზიდველ და შარმიან ახალგაზრდა სოპრანოს.

ლატვიელი მეცო-სოპრანო ელინა გარანჩა ათეულში მეექვსე ადგილზეა. მან მსოფლიოში აღიარება სწორედაც თავისი მომხიბვლელი ხმით მოიპოვა.

ჩამონათვალში მეშვიდე ადგილი მინიჭებული აქვს რუს სოპრანოს იულია ნოვიკოვას. მას ძლიერი და ლამაზი ხმა აქვს, რომელსაც შეუძლია, დაიპყროს აუდიტორია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მეორე ქართველი საოპერო მომღერალი ნინო სურგულაძე ათეულში მერვე ადგილს იკავებს. მეცო-სოპრანო, რომელიც ვარსკვლავი ჯერ კიდევ ბავშვობაში გახდა, პოპულარობას არც ახლა კარგავს. მისი კარიერა დაიწყო ფილმში „მეტიჩარა“, რომელიც საქართველოშია გადაღებული. ნინოს განსაკუთრებულმა ხმამ და ნიჭმა მას არაერთი ჯილდო მოუტანა საოპერო მოღვაწეობაში. როგორც უცხოური მედია წერს, ამ ვარსკვლავს აქვს ნიჭი, რომ დაიპყროს აუდიტორია მთელს მსოფლიოში.

ათეულში მეცხრეადგილოსანია წარმოშობით ბულგარელი სონია იონჩევა. მან მსოფლიოს ცნობილ საოპერო სცენებზე უდიდესი აღიარება მოიპოვა.

ჩამონათვალს აგვირგვინებს რუსი სოპრანო ანა ნეტრებკო. ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო ხმის მფლობელია, რომელიც უზადო ტექნიკითა და ვოკალით გამოირჩევა.

## ნინო ჩხეიძე: ჩემთვის ჰონორარი არავის გადაუხდია!“

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ნინო ჩხეიძე გასული კვირის მთავარ თემას ეხმაურება და აცხადებს, რომ „მისთვის ჰონორარი არავის გადაუხდია“. საქმე ეხება ერთ-ერთ ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებულ სტატიას იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლები, შესაძლოა, პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარონ. ბეჭდურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ გაწეულ ხარჯებთან დაკავშირებით. მათივე ინფორმაციით, პროკურატურა მალე დაკითხავს ქართული შოუბიზნესის წარმომადგენლებს ბუბა კიკაბიძეს, სოფო ნიჟარაძეს, ლელა წურწუმიას, მერაბ სეფაშვილს, ნინა წკრიალაშვილს, ეკა კახიანს, ნინი ბადურაშვილს, ნინო ჩხეიძეს, ანა კეკუას, სალომე ბაკურაძეს, ნოდიკო ტატიშვილს, ნიაზ დიასამიძეს, აჩიკო გულედანს, დუეტ „ჯორჯიას“ წევრებს მაკა ზამბახიძესა და რატი დურგლიშვილს და სხვა მომღერლებს. ასევე, „კომედი შოუს“ მსახიობებსა და სხვადასხვა მუსიკალური ანსამბლის წევრებს. მათ, სავარაუდოდ, მოწმის სახით დაჰკითხავენ.

მომღერალმა ნინო ჩხეიძემ სოციალურ ქსელში დაწერა:

„რამდენიმე საინფორმაციო საიტზე დაიწერა, რომ მომღერლების დაბარებას აპირებს პროკურატურა მოწმის სტატუსით. სტატიებში წერენ, რომ წინა მთავრობის მაღალჩინოსნების დაბადების დღეებს ამთხვევდნენ ჰონორარების გადახდას. მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ ჩემთვის არავის არ გადაუხდია ჰონორარი სადაბადებისდღეო წვეულებებისთვის. მე ვარ მომღერალი! ადამიანი, რომელიც აკეთებდა თავის საქმეს და ახლაც ვაგრძელებ ჩემს საქმიანობას. ყველა ჩემს კოლეგას ვუსურვებ წარმატებას და სტატიის ავტორებს — მეტ პოზიტივს. თქვენი ნინო ჩხეიძე.“



## იუმორი



სამხედრო კომისარიატში სამედიცინო შემოწმებაზე. ექიმი წვევამდელს თავისთან უხმობს და უბრძანებს:

— მომიახლოვდი!

— ტრუსი ჩაიწიე!

— შეტრიალდი!

— დაიკუზე!

— ფეხები გაშალე!

— ვარგისია!

ამ დროს წვევამდელი მიუბრუნდება და ეუბნება:

— მაგის თქმა პირდაპირ არ შეგეძლოთ?!

* * *

სამი ნარკომანი ტაქსს აჩერებს. ამ დროს ერთ-ერთი დანარჩენებს ეუბნება:

— აუ, ბიჭებო, მამაჩემია და არ შევიმჩნიოთ, რომ დაბოლილები ვართ.

მანქანის კარი გამოაღეს და ჩასხდნენ. მძღოლმა სამივე აათვალ-ჩაათვალიერა და შვილს ეუბნება:

— კიდევ მოწეულში ხარ არა, შე შობელძაღლო!

— არა მამი, რას ამბობ.

— აბა, თქვე შობელძაღლებო, უკან ადგილი არ იყო, სამივე წინ რომ არ ჩამსხდარიყავით?!

* * *

აღშფოთებული ექიმი პაციენტს მიმართავს:

— ძალიან ცუდად გამოიყურებით! მე ხომ სრულიად გასაგებად გითხარით, რომ დღეში მხოლოდ 10 ღერი სიგარეტის მოწევა შეიძლება!

— კარგად მახსოვს, ექიმო, მაგრამ დამეთანხმებით, რომ იმ ადამიანისთვის, რომელსაც თავის სიცოცხლეში ერთი ღერი სიგარეტიც კი არ მოუწევია, 10 ღერი მართლაც ბევრია!

* * *

ახალმა რუსმა ჯიპი იყიდა და სახლის წინ დააყენა. საღამოს ლოთი მიბარბაცებს. მანქანას მიუახლოვდა და ხედავს უკან აწერია 4X4. დიდხანს არ უფიქრია, იქვე ახლოს დაგდებული ლურსმანი აიღო და მიაფხაჭნა: 4X416. დილით პატრონმა ნახა, გაბრაზებულმა მანქანა პროფილაქტიკაში მიიყვანა და ის ადგილი შეაღებინა. მეორე საღამოს ისტორია განმეორდა, და ასე მთელი კვირა. ბოლოსდაბოლოს არაქათგამოცლილმა და თავმობეზრებულმა ჯიპის პატრონმა სერვისის თანამშრომლებს სთხოვა, რომ საფირმო წარწერა გაეკეთებინათ 4X416. კმაყოფილი სახლში დაბრუნდა, მანქანა გააჩერა და დაიძინა. დილით ჩამოსულს ასეთი სურათი დახვდა: 4X416 ,,სწორია“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## hჰxცეxჰლბ ფ




**შვეულად:** 1. სანთლიდან ჩამომდნარი წვეთი; 2. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 3. ნავთობის საბადო კახეთში; 4. მაღალმთიანი კლიმატური კურორტი აჭარაში; 6. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 8. ხის ტანი ფესვიდან ვარჯამდე; 11. უეცრად ამოვარდნილი ძლიერი ქარი; 12. ქართველი მეფე საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი; 16. საპატარძლოსთვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 17. სამ და ოთხწლიანი ცხენების დოღი; 18. ალალბედზე მოქმედება.

**თარაზულად:** 1. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 5. ფინეთის პარლამენტი; 7. ოდესის ძველი სახელწოდება; 9. აზოტმჟავას მარილი; 10. ხმის ჩამხშობი მოწყობილობა ჩასაბერ მუსიკალურ ინსტრუმენტებზე; 13. კარაქის შესადღვები ძველებური, ხის მოგრძო ჭურჭელი; 14. ფრანგი აბსტრაქციონისტი მხატვარი; 15. პურეული მცენარე; 19. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. ბადაგისგან მომზადებული ტკბილეული; 21. მონასტერი კასპის რაიონში; 22. ღვინის წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრი საფრანგეთში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## fcnhjghjuyjpb 30 ივლისისთვის

**ვერძი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დასვენება გჭირდებათ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია. **კირჩხიბი** — იმიჯის შეცვლა კარგია, იფიქრეთ ამაზე. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს მოგიტანენ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **ღრიანკალი** — ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. **მშვილდოსანი** — ფრთხილად იყავით, არაფერი დაკარგოთ. **თხის რქა** — თავზე მუშაობა მოგიწევთ, მოთოკეთ ნერვები. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **თევზები** — რისკი არ არის გამართლებული, ექსპერიმენტები გადადეთ.

უბცეჰეტ,ს ,ტცყბტჰ ცქტცს=